ეროვნული თავისუფლების გზით – პიროვნული თავისუფლებისაკენ
პიროვნული თავისუფლების გზით – ეროვნული თავისუფლებისაკენ

საქართველო

30 თეთრი

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი. გამოდის თვეში ორჯერ №2 (1808) 25 მარტი 2004

25 მარტი საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის დღეა!

ვულოცავთ საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას, წმინდა სინოდს, მართლმადიდებელ მრევლს, სრულიად საქართველოს და სრულიად ქართველ ერს საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის დღეს! ვუსურვებთ რწმენაში გამტკიცებას, წარმატებებს და წინსვლას ეროვნულ-სახელმწიფოებრიობის მშენებლობის საქმეში.

საქართველოს სახალხო ფრონტი

ხმა მოგვეცით!

შემოხაზეთ №16

„ნოდარ ნათაძე – სახალხო ფრონტი“

დღეს საქართველოს ბედი ძირითადად მომავალი პარლამენტის ხელშია. ამიტომ საქართველოს სახალხო ფრონტი, მიუხედავად ფინანსური სიღარიბისა, იბრძვის, რომ ამ პარლამენტში ადგილები მოიპოვოს. სახალხო ფრონტს თქვენ იცნობთ: ესაა პატიოსანი, თავდადებული და სახელმწიფოებრივი პასუხისმგებლობის გრძნობით აღჭურვილი ორგანიზაცია, რომელიც დაარსების დღიდან — უკვე 15 წელია, უშიშრად ამბობს სიმართლეს და დღემდე თავისი მიმართულება არ შეუცვლია. მისი მსოფლიო-პოლიტიკური პროგნოზები ყოველთვის მართლდება. მისმა მრავალმა წევრმა სიცოცხლე შესწირა სამშობლოს თავისუფლებისა, მთლიანობისა და ღირსებისათვის ბრძოლას.

დღეს საქართველოს გადარჩენა სჭირდება. გამოცდილება გვიჩვენებს, რომ სახელმწიფოს მძიმე მდგომარეობა ექმნება, როცა პრეზიდენტი და პარლამენტი ერთსა და იმავე პოლიტიკურ პარტიას ეკუთვნიან. თუ პრეზიდენტს — სახელმწიფოს მეთაურსა და აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაურს — არ ჰყავს კონსტრუქციული ოპოზიცია პარლამენტში, ვერავინ დაიცავს მას საბედისწერო შეცდომებისაგან სახელმწიფოს მართვაში. ამიტომაც დემოკრატიულ ქვეყნებში ამომრჩეველი ცდილობს, პარლამენტში ხმა მისცეს პრეზიდენტისადმი ოპოზიციურ პარტიას, თუ ამ უკანასკნელს ენდობა ერთგულებასა და გონიერებაში. ასე იქცევა, მაგალითად, ამერიკელი მრჩეველი: თუ პრეზიდენტი რესპუბლიკელია, იგი კონგრესში ხმას აძლევს დემოკრატს და პირუკუ.

საქართველოს სახალხო ფრონტი ყველაზე კონსტრუქციულია საპარლამენტო არჩევნებში დღეს მონაწილე პარტიებს შორის. მისი კრიტიკული შენიშვნები არასდროს ყოფილა „ჩასაფრებულის“ პოზიცია, ყოველთვის იყო და იქნება მხოლოდდამხოლოდ ჩვენი სამშობლოს სასიცოცხლო ინტერესებით ნაკარნახევი. თუ სახალხო ფრონტს პარლამენტში წარმომადგენლობა ეყოლება ფრაქციის სახით, ეს დიდი მხარდაჭერა იქნება ხელისუფლების ყველა ბრძნული განზრახვისათვის და დიდი დაბრკოლება — არა ბრძნულისათვის. ჩვენ გვაქვს კონკრეტული პროგრამა სახელმწიფოში ყველა ძირითადი პრობლემის მოსაგვარებლად. გაზეთი „საქართველო“ გთავაზობთ ამ პროგრამას.

მოგვეცით ხმა 28 მარტის არჩევნებში!

ქართული ორიენტაცია!

სახელმწიფოს ერთგულება და უანგარო სამსახური!

პროფესიონალიზმი და ზნეობრივი პოლიტიკა!

შემოხაზეთ №16
„ნოდარ ნათაძე — სახალხო ფრონტი“

აჭარაში შექმნილი მდგომარეობის გამო

საქართველოს სახალხო ფრონტს არაერთხელ გამოუთქვამს თავისი მოსაზრება იმის გამო, თუ რატომ ტარდება მასმედიაში, განსაკუთრებით — „რუსთავ-2“ -ში „ინტენსიური დეზინფორმაციის კამპანია „თბილისისა და ბათუმის“ არარსებული „კონფლიქტის“ შესახებ. ეს მოსაზრება იმაში მდგომარეობდა და მდგომარეობს, რომ „კონფლიქტის“ ორივე „მხარე“ რუსეთის დავალებით ეწევა კონფლიქტის სიმულაციას, რის შემდეგაც მოსალოდნელია, სიმულაციის ამოცანა, რუსეთისვე ბრძანებით, კონფლიქტის ორგანიზაციის, ხოლო შემდეგ - ესკალაციის ამოცანად გადაიზარდოს. დღეს ეს უკვე მომხდარია: აჭარის დედაქალაქსა და რაიონებში ერთიმეორის პირისპირ დგას ორი მასა-მოპროტესტეებისა და ხელისუფლების მომხრეების - და მათ შორის ფიზიკური შეტაკების უშუალო ხიფათია შექმნილი. ვსვამთ საზოგადოების წინაშე შემდეგ კითხვას: ბათუმის ხელისუფლება არ შეცვლილა და ძველი კურსის უცვლელობა, ამგვარად, ბუნებრივი ჩანს. თბილისში ხელისუფლება შეიცვალა, მაგრამ ძველი კურსი გრძელდება, უფრო მეტიც-იგი მკვეთრდება. ვინ ახორციელებს დღეს აწ უკვე გადამდგარი შევარდნაძის ამ არასასახელო ფუქციას?

მრავალი სხვა უტაქტო და უაღრესად სახიფათო გამონათქვამის გარდა მინდა საზოგადოების თვალი მივაპყრო თბილისში გაკეთებულ შემდეგ ორ განცხადებას, რომლებიც ეკრანიდან გახდა ჩვენთვის ცნობილი და რომლებიც არა მხოლოდ სახიფათოა, არამედ ლოგიკურად აბსურდულიც. პირველი გახლავთ ზ. ჟვანიას განცხადება, რომ ბათუმში უშიშროების მეტნაკლებად ავტონომიური სტრუქტურა უნდა გაუქმდეს <u>იმიტომ</u> (ან, უკეთეს შემთხვევაში, <u>იმიტომაც</u>), რომ მისმა თანამშრომლებმა უხეშად დაარღვიეს ჟურნალისტის ადამიანური უფლებები. ზ. ჟვანიას, როგორც ჩანს, არ მოეხსენება, რომ თანამშრომლის მიერ ჩადენილი დარღვევა შეიძლება საფუძველი იყოს მხოლოდ თანამშრომლის ან უწყების ხელმძღვანელობის დასჯისათვის, მაგრამ არა უწყების გაუქმებისათვის. მეორე გახლავთ ვ. მერაბიშვილის განცხადება, რომელშიც აჭარის ზემოხსენებული უწყების გაუქმება ჩათვლილია „საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ცენტრალური ხელისუფლების იურისდიქციის მოქმედების“ ელემეტად. ვ. მერაბიშვილს ეტყობა არ მოეხსენება, რომ საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების იურისდიქცია შელახულია აფხაზეთისა და ცხინვალის ზონაში, მაგრამ შელახულია მიზანმოსწრაფე მტრების მიერ, და იქ ცენტრალური ხელისუფლების იურისდიქციის აღდგენამდე ადმინისტრაციულ-უფლებრივ მიმართებებზე ლაპარაკი საქართველოს სხვა ადგილებში არა მხოლოდ ამორალურია, არამედ თვალში საცემად კომიკურიც.

შევახსენებ შეთითხნილი „კონფლიქტის“ „მხარეებს“, პირველყოვლისა - თბილისისა და ბათუმის ხელისუფალთ, რომ დღეს ამ „კონფლიქტის“ უკან მსოფლიოს დიდი ძალები დგანან. რუსეთს უნდა:

- საქართველოში სისხლიანი ქაოსის მოწყობა დიდი ხნით და ამით ცენტრალური აზიისკენ დასავლური დემოკრატიის მოძრაობის ხელშეშლა.

- სამხედრო „ჩარევა“ და, ჯამში, საქართველოს ხარჯზე „სომხეთი-შავი ზღვა“ დერეფნის გაჭრა.

- საქართველოს, როგორც ამიერკავკასიის წამყვანი სახელმწიფოს, ვერშედგომა.

არაერთი მსოფლიო ლობი დაინტერესებულია - საქართველოს, როგორც სახელმწიფოს, ვერშედგომით.

დემოკრატიული დასავლეთი კი, თუმცა დაუშვებლად თვლის ამიერკავკასიაში რუსული იმპერიალიზმის დიდმასშტაბიან დაბრუნებას, შესაძლებელია, არ შეეწინააღმდეგოს რუსეთს ახალი სისხლიანი კონფლიქტის შექმნაში, რომლის შედეგადაც საქართველო კიდევ უფრო დაუძლურდება და დაქუცმაცდება მანამდე, სანამ ამიერკავკასიაში მყარი დასავლური სტრუქტურები დამკვიდრდებოდეს.

თქმულიდან გამომდინარე, საქართველოს ყველა დონის ხელისუფალთა მოვალეობად ვრაცხ:

1. საერთო მიზნის - აჭარაში არსებული უცხო ბაზის განდევნის-ყველანაირი აქტუალიზაციის საშუალებით მოხდეს აჭარაში არსებული შიდაქართული დაპირისპირების დაძლევა.

2. სრულმასშტაბიანად გაიშალოს ბრძოლა საქართველოში ГРУ-ს მოქმედების სრული აღკვეთისა და მისი ყველა საყრდენის აღმოფხვრისათვის.

3. როგორც საქართველოს ხელისუფლებამ, ისე საქართველოს ყველა მოქალაქემ და საქართველოში არსებულმა ყველა პოლიტიკურმა თუ საზოგადოებრივმა ორგანიზაციამ, რომელსაც კონტაქტი აქვს დასავლეთთან და, ამგვარად, დასავლეთის საზოგადოებრივ აზრთანაც, შეძლებისდაგვარად მიიტანოს პარტნერთა ცნობიერებამდე ის უდავო ჭეშმარიტება, რომ სრულფასოვანი და გამართული ქართული სახელმწიფო, როგორც მოკავშირე, შეუდარებლად უფრო მეტი სარგებლობის მომტანია დასავლური დემოკრატიისათვის, ვიდრე სახელმწიფოებრივად ვერშემდგარი და დიდ პოლიტიკაში მხოლოდ ობიექტის როლში მყოფი ქვეყანა.

4. შევახსენებ თბილისელ ხელისუფლებას და ბათუმელ ხელისუფლებას, რომ მათი პასუხისმგებლობა ერისა და ისტორიის წინაშე დღევანდელ დღეს მაქსიმალურია.

ნოდარ ნათაძე
საქართველოს სახალხო ფრონტის თავმჯდომარე
11 მარტი, 2004 წ.

საქართველოს სახალხო ფრონტის განცხადება

9 III 1990 საქ. სსრ უზენაესმა საბჭომ მიიღო დადგენილება, რომლის თანახმადაც საქართველო აღიარებულ იქნა რუსეთის მიერ დაპყრობილ და ფაქტობრივად ანექსირებულ ქვეყნად. საქართველოს 28.X.1990 კანონიერად არჩეულმა უზენაესმა საბჭომ სსრკ-ის შეიარაღებულ ძალებს, რომელნიც საქართველოში დგანან, ოკუპანტების კვალიფიკაცია მისცა. არც ერთი ამ ორ დადგენილებათაგანი არ გაპროტესტებულა და არც ერთს შეკამათება არ გამოუწვევა სსრკ-ის უზენაესი საკანონმდებლო ორგანოების მხრიდან.

1 VI 1993 საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტმა თავის დადგენილებაში №125 ცალსახად მოახდინა იმ ფაქტის კონსტატაცია, რომ რუსეთის შეიარაღებულ ძალთა დგომას საქართველოში არა აქვს არანაირი იურიდიული საფუძველი და მათი საქართველოში დგომის ფაქტი არის მხოლოდ მექანიკური გაგრძელება 1921 წლის თებერვალ-მარტში რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის და ძალადობითი ოკუპაციის ფაქტისა, აგრეთვე დაადგინა, რომ მოხდეს საქართველოში არსებული ყველა რუსული სამხედრო ბაზის გაყვანა საქართველოდან 1995 წლის 31 დეკემბრამდე. ამის შემდეგ საქართველოს პარლამენტის არც ერთ აქტში ამ თარიღის შეცვლა არ მომხდარა.

საქართველოს პარლამენტის 1 VI 1993 წლის დადგენილების მიღებიდან თავის იძულებით გადადგომამდე 2003 წლის 23 XI საქართველოს სახელმწიფოს მეთაური, შემდეგ კი პრეზიდენტი ე. შევარდნაძე საზოგადოებისაგან მალულად აწარმოებდა მოლაპარაკებას რუსეთთან საქართველოში რუსეთის ბაზების მყოფობის ფაქტობრივი გაგრძელების შესახებ და უგულებელყოფდა საქართველოს პარლამენტის დადგენილებას, რითაც პირდაპირ არღვევდა კანონს და ჩადიოდა დანაშაულს სახელმწიფოს წინაშე. დღეს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი თ. ჯაფარიძე, ასევე კანონის დარღვევით, აწარმოებს ხელახალ მოლაპარაკებას რუსეთთან საქართველოდან რუსული სამხედრო ბაზების გაყვანის შესახებ და გამოთქვამს საქართველოს მზადყოფნას, ბაზების გაყვანა მოახდინოს 3 წლის ვადაში, რაც საკმარის საფუძველს წარმოადგენს ეჭვისათვის საქართველოს ინტერესებისადმი მისი საგარეო საქმეთა მინისტრის ერთგულების, აგრეთვე საქართველოს პოლიტიკის ამ უბანზე პასუხისმგებელ სხვა პირების ერთგულების, თაობაზე.

აღვნიშნავთ - რა ამ უაღრესად სამწუხარო ფაქტს, საქართველოს საზოგადოებრიობისა და მსოფლიო საზოგადოებრიობის წინაშე განმეორებით ვაცხადებთ შემდეგს.

1. საქართველოში რუსეთის ფედერაციის შეიარაღებულ ძალთა მყოფობა არის კანონსაწინააღმდეგო მდგომარეობა, სახელდობრ, საქართველოს ტერიტორიის ნაწილთა რუსეთის მიერ ოკუპაციის ანუ საქართველოს წინააღმდეგ რუსეთის აგრესიის მდგომარეობა. იგი არის, ამასთანავე, სასიცოცხლო ხიფათი საქართველოს სახელმწიფოსა და მოსახლეობისათვის, ვინაიდან რუსული სამხედრო ბაზები წარმოადგენენ მუდმივ ბაზასა და ზურგს რუსული სამსახურებისათვის, რომელთა ანტიქართული მოქმედება აფხაზეთსა და ცხინვალის ზონაში ცნობილია და რომელთაც მიზნად აქვთ, სხვა აგრესიულ ქმედებებთან ერთად, საქართველოში მდგრადი და მრავალმხრივი კატასტროფული ვითარების ორგანიზება ტერაქტებისა და დიდი სისხლისღვრის ჩათვლით, რათა შეფერხდეს დასავლური დემოკრატიის წინსვლა შუა აზიისაკენ.

2. რუსეთს, წინააღმდეგ მის სახელმწიფო მოხელეთა და მედიუმთა მრავალმხრივი განცხადებებისა, არა აქვს და ვერ ექნება კანონიერი ინტერესები საქართველოში გარდა იმ ერთადერთისა, რომ საქართველოსთან კეთილმეზობლურ დამოკიდებულებაში იმყოფებოდეს, აგრეთვე არა აქვს არანაირი საფუძველი, რომ თავისი ძალადობით ჩაყენებული შეიარაღებული ძალების საქართველოდან გაყვანის ხარჯების დაფარვა საქართველოსაგან ითხოვოს. პირიქით: რუსეთს ჰმართებს 1921 წლიდან საქართველოში განლაგებული საბჭოთა და რუსული შეიარაღებული ძალების მიერ მიყენებული ეკოლოგიური და სხვა სახის ზარალის კომპენსაცია საქართველოსათვის.

3. თქმულიდან გამომდინარე, საქართველოს სახალხო ფრონტი განმეორებით აცხადებს, რომ საქართველოს ხელისუფლების უფლებაა და პირდაპირი მოვალეობაა, მიაღწიოს რუსეთის სამხედრო ბაზების დაუყოვნებლივსა და სრულ გაყვანას საქართველოდან, ასევე საქართველოს ყველა პოლიტიკური ჯგუფისა და ყველა მოქალაქის უფლება და მოვალეობაა, ყველა საშუალებით იბრძოლოს ამ მიზნისათვის მანამდე, სანამ იგი მიღწეული არ იქნება.

საქართველოს სახალხო ფრონტი სრულად გამოიყენებს ამ უფლებას და კეთილსინდისიერად მოიხდის ამ მოვალეობას. იგი იმედოვნებს, რომ ასევე იმოქმედებენ ყველა ის პოლიტიკური პარტიები, პოლიტიკური ჯგუფები და საქართველოს სხვა მოქალაქეები, რომლებიც თავის აზრსა და საქმეში ეროვნულ მიმართულებას და, მაშასადამე, ჭეშმარიტად დემოკრატიულ მიმართულებას ადგანან. ეს მოქმედება მოხდება საქართველოს ხელისუფლების ამავე მიმართულებით ორიენტირებული ნაწილებისათვის მხარდაჭერის სახით, ხოლო თუ ხელისუფლების მხრიდან ასეთი ნაბიჯები არ გადაიდგმება, მაშინ იგივე მოხდება ხელისუფლებისათვის გვერდის ავლით.

4. საქართველოს სახალხო ფრონტმა, მიუხედავად წერილობითი თხოვნისა, ვერ მიიღო საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსაგან რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტროს იმ ნოტას ტექსტი, რომელიც ეხება საქართველოს სახალხო ფრონტის 2004 წლის 11 იანვრის განცხადებას საქართველოდან რუსული სამხედრო ბაზების გაყვანის თაობაზე. მაგრამ ჩვენთვის ცნობილია მთელი რიგი რუსული მედიების რეაგირება ამ განცხადებაზე და რუსეთის ფედერაციის თავდაცვის მინისტრის შესაბამისი განცხადების ის ნაწილი, რომელიც ქართულ ტელევიზიაში ვნახეთ. ამასთან დაკავშირებით დამატებით ვაცხადებთ, რომ სიტყვა „დივერსია“ ჩვენ განცხადებაში გამოყენებულია მხოლოდ იმ ქმედებათა აღსანიშნავად, რომელსაც ჩვენ რუსეთის სამხედრო ბაზაზე დაყრდნობილი რუსული სპეცსამსახურებისაგან მოველით. რაც შეეხება რუსეთის სამხედრო ბაზების გაყვანისათვის ბრძოლის საშუალებებს, მათი შერჩევა მოხდება პირწმინდად პრაგმატული გათვლის საფუძველზე, იმ პრინციპიდან გამომდინარე, რომ უცხო მოძალადე ოკუპანტის გაძევება საკუთარი ტერიტორიიდან ყველა სუვერენული სახელმწიფოს და ამ უკანასკნელის ყველა მოქალაქის უფლება და მოვალეობაა.

რაც შეეხება რუსეთის თავდაცვის მინისტრის განცხადებას, იგი ჩვენ მიგვაჩნია იმის უტყუარ სიმპტომად, რომ რუსეთის პოლიტიკური ელიტის აზროვნება საქართველოსთან მიმართებაში ჯერ კიდევ იმპერიალისტური სულისკვეთების ჩარჩოებში იმყოფება, რის გამოც საქართველოს რუსეთთან ურთიერთობაში მაქსიმალური სიფხიზლე და მისი ყოველი შემოტევის მოგერიებისათვის,- სიტყვიერი იქნება ეს შემოტევა თუ საქმით განხორციელებული, - მუდმივი მზაობა ჰმართებს.

16. 04. 2004 წ.

საქართველოს სახალხო ფრონტის განცხადება

ქართულ-რუსულ ურთიერთობების გარკვევის ჭოლო ეპიზოდის გამო

ჩვენდა გულსატკენად, პრეზიდენტ მ. სააკაშვილის პრესკონფერენციაზე პრეზიდენტ პუტინთან შეხვედრის შესახებ გაკეთდა განცხადება, რომელიც შეიცავს საშიშროებას ქართველი და ჩეჩენი ხალხების კეთილი ურთიერთობებისათვის დღეს, უახლოეს წლებში და საუკუნეთა მანძილზე. სახელდობრ, ჩეჩენ მემომრებს, რომლებიც თავისი ქვეყნის რუსეთის შემადგენლობიდან გამოყვანის ლოზუნგით ომობენ, ეწოდათ „ბანდიტები“ და გამოითქვა განზრახვა საქართველო-ჩეჩნეთის საზღვრის, - დღევანდელ რუსეთ-საქართველოს საზღვრის ჩეჩნეთის მონაკვეთის „ერთობლივი ქართულ-რუსული კონტროლის შემოღების შესახებ, რაც, სამხედრო თვალსაზრისით, რუსეთის ფედერალური ძალებისათვის ჩეჩნური რაზმების წინააღმდეგ ზურგიდან დარტყმის შესაძლებლობის მიცემას უდრის.

საქართველოს სახალხო ფრონტს მიაჩნია, რომ საქართველოს ჰმართებს მკაცრად გაატაროს მეზობელი რუსეთის შინაგან საქმეებში ჩაურევლობის პოლიტიკა და რუსეთისგანაც იგივე მოითხოვოს. დღევანდელ პირობებში საქართველოს ხელისუფლებას არა აქვს უფლება, პოზიცია დაიჭიროს იმ ომის მიმართ, რომელიც დღეს წარმოებს რუსეთის ფედერალურ შეიარაღებულ ძალებსა და ჩეჩნეთის პრეზიდენტად ამ რამდენიმე წლის წინათ არჩეული ბატონი მასხადოვის რაზმებს შორის, ან გამოთქვას მონაწილე მხარეთა მიმართ პოლიტიკური და მორალური შეფასებები, მით უმეტეს, არა აქვს უფლება რუსეთის მხარეს მისცეს თუნდაც ერთი მმ² პლაცდარმი ქართულ ტერიტორიაზე. საქართველოს სახალხო ფრონტი ემიჯნება პრეზიდენტი მ. სააკაშვილის განცხადებას და აპირებს ყველა კანონიერი საშუალებით არ დაუშვას საზღვრის ზემოხსენებული ერთობლივი ქართულ-რუსული პატრულირება. ჩვენს მოვალეობად ვრაცხთ, შევახსენოთ საქართველოს პრეზიდენტს მ. სააკაშვილს იმ ხიფათის შესახებ, რომელიც საქართველოს სახალხო ფრონტს არაერთხელ აღუნიშნავს ადრეც. დღეს რუსეთი სტრატეგიულად დაინტერესებულია, შეაფერხოს დასავლური დემოკრატიის მსვლელობა ცენტრალური აზიისაკენ საქართველო-აზერბაიჯანის გზით, რისთვისაც ერთ-ერთი ყველაზე ხელმისაწვდომი საშუალებაა საქართველოში ხანგრძლივი სისხლიანი ქაოსის შექმნა კატასტროფული მასშტაბის დივერსიათა მოწყობის სახით. ასეთი დივერსიების ორგანიზება პრობლემას არ წარმოადგენს რუსეთის სამხედრო დაზვერვისა და სხვა სპეცსამსახურებისათვის, რომლებსაც საქართველოში ძლიერი პოზიციები აქვთ და რომელთა ყოვლისშემძლეობის ხელყოფაც დღემდე დამოუკიდებელი საქართველოს არც ერთ ხელისუფლებას არ უცდია. ამიტომ რუსეთი დაინტერესებულია, შეუქმნას ჩეჩენ მებრძოლებს იმის საფუძველი, რომ საქართველოზე და მის ხელისუფლებაზე ნაწყენი იყონ, რათა ზემოხსენებული კატასტროფული დივერსიები მოახდინონ „ჩეჩენი ტერორისტების“ სახელითა და ნიღბით. ყოველი მკვეთრი გამოთქმა „ჩეჩენი ტერორისტების“ მისამართით და, მით უმეტეს, ყოველი პრაქტიკული დახმარება რუსეთისათვის ჩეჩენთა წინააღმდეგ ბრძოლაში, ხელს უწყობს რუსეთის ზემოხსენებული სტრატეგიული მიზნის განხორციელებას საქართველოს მოქალაქეთა მასობრივი მსხვერპლის ხარჯზე.

საქართველოს სახალხო ფრონტის სახელით

ნ. ნათაძე

განცხადება

ჩემი დღევანდელი მიზანია, საქართველოში მოქმედ პოლიტიკურ სუბიექტებს სიფხიზლისაკენ მოვუწოდო იმ სპეციფიკურ ვითარებაში, რომელიც დღეს ბათუმში ყალიბდება. მხედველობაში მაქვს შემდეგი:

1. მრავალი წელია, რუსეთის დავალებით საქართველოში მიმდინარეობს „თბილისისა და ბათუმის კონფლიქტის“ სიმულაცია, რომელიც, რუსულ გეგმითვე, ამჟამად ამ „კონფლიქტის“ ორგანიზების სტადიაში გადადის. ბოლო დრომდე „მხარეების“ „ლიდერებს“ ამ მოგონილ კონფლიქტში“ წარმოადგენდნენ ე. შევარდნაძე და ა. აბაშიძე. დღეს შევარდნაძეს ეს ფუნქცია დაკარგული აქვს, მაგრამ მისი ფუნქციის შესრულება გრძელდება. ვის მიერ? ეს კითხვა დგას და ეჭვი ეხება არა მხოლოდ უპასუხისმგებლო მინისტრის მოადგილეს, რომელიც სიტყვას „იარაღი“ ახსენებს;

2. ზემოხსენებული ანტიქართული დივერსიის მომხრე არის და იქნება არა მხოლოდ რუსეთი, რომლის როლი ნათელია, არამედ, შესაძლოა, მსოფლიოს სხვა ძალებიც, რომელნიც, ეროვნულ სახელმწიფოთა საზარალოდ, მსოფლიოში „რეგიონალიზმისა“ და „გლობალიზმის“ სულისკვეთების გავრცელებას ლამობენ.

ხიფათი ძალიან დიდია და ძალიან მოახლოებულია.

იყავით ფრთხილად!

საქართველოს სახალხო ფრონტის ეროვნული კომიტეტის თავმჯდომარე
ნოდარ ნათაძე

საქართველოს სამხედრო მშენებლობის საჭირბოროტო საკითხები თანამედროვე ეტაპზე

როგორც ვიცით, 2003 წლის ნოემბრის ბოლოს დაემხო არსებული ხელისუფლება.

რამდენად გულწრფელნი და რეალისტნი არიან პრეზიდენტი სააკაშვილი, ჟვანია და ბურჯანაძე, როდესაც გასული ათწლეულის მანძილზე დატრიალებულ ყველა უსამართლობასა და უბედურებას მხოლოდ ედუარდ შევარდნაძესა და მასთან მყოფ ძალებს აბრალებენ და რამდენად შესწევთ მათ უნარი თავიანთი დღევანდელი დაპირისპირებების შესრულებისა? ამ კითხვაზე ჩვენ ყოველმხრივ და ამომწურავ პასუხს ვერ გავცემთ, შევეცდებით საქართველოს სამხედრო მშენებლობის გამოცდილების მაგალითზე, არა პიროვნული დამოკიდებულებიდან, არამედ საქმის ინტერესებიდან გამომდინარე, მოვძებნოთ შეძლებისდაგვარად ობიექტური, კომპეტენტური და სასარგებლო პასუხები ჩვენს შეკითხვებზე.

გაზეთ „საქართველოში" საქართველოს სამხედრო მშენებლობის აქტუალური და ძირეული საკითხების შესახებ წერილების გამოქვეყნება, ღვთის წყალობით, დავიწყეთ 1999 წლის გაზაფხულ-ზაფხულიდან. იმ დროიდან დღემდე ჩვენს მკითხველს ვუმარტავდით, რომ საქართველოს შეიარაღებული ძალების ჩამოყალიბების საქმეს ხელს უშლის ორი ძირითადი ფაქტორი:

1. საქართველოს ხელისუფლების მიერ, სამხედრო საქმეში ჩახედული ქართველი სპეციალისტებისა და მკვლევარების უგულვებელყოფა და შესაბამის თანამდებობებზე მხოლოდ იმ ადამიანების დანიშვნა, რომლებსაც უკვე აქვთ ცოტა ცალმხრივი დასავლური სწავლება ამ სფეროში.

2. საქართველოს სამხედრო მშენებლობის ძირითადი მიმართულების განსაზღვრის და შესაბამისი დოკუმენტების შექმნის მთლიანად უცხოელი მრჩევლების ხელში გადაცემა.

ეს ხდებოდა იმ ფონზე, როდესაც საქართველოს ხელისუფლებაში მყოფ ძალებს თვალნათლივ შეეძლოთ, დაენახათ დასავლელი სამხედრო მრჩევლების ჩვენდამი არაბოლომდე გულწრფელი დამოკიდებულება, ჩვენთვის მოცემული რჩევების აშკარა მავნებლობა. ამ მხრივ პირადად ჩვენთვის მეტად ნიშანდობლივი იყო სწორედ 1999 წელი. მანამდე ჩვენ 1991 წლიდან ვიკვლევდით ძირითადად აშშ შეიარაღებულ ძალებს (და უმთავრესად სახმელეთო ჯარებს), შემდეგ 1997 წლის მიწურულს ჩვენს წინაშე იმ კონტექსტში დადგა საქართველოს გარშემო არსებული სამხედრო-სტრატეგიული ვითარების შესწავლისა და თავად საქართველოს შეიარაღებული ძალების მშენებლობის ძირითადი მიმართულებებისა და პარამეტრების განსაზღვრის ამოცანა. უკანასკნელ წლებში გაზეთ „საქართველოში" ჩვენს მიერ გამოქვეყნებული წერილების საფუძველს სწორედ 1991 წლიდან დღემდე სისტემატიურად წარმოებული კვლევები და ამ პროცესში, ღვთის წყალობით, დაგროვილი ცოდნა წარმოადგენს.

1991 წლის დასაწყისში საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარემ რეზო ადამიამ მოაწყო კომიტეტის საჯარო სხდომა „საქართველო — რუსეთის სამხედრო ურთიერთობების შესახებ", რომლის ერთ-ერთი ძირითადი მომხსენებელიც გახლდათ საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილე საგარეო ურთიერთობათა საკითხებში გრიგოლ ქათამაძე. მან სხვათა შორის განაცხადა, რომ რუსები უარს გვეუბნებიან სამხედრო სფეროში თანამშრომლობაზე, ან გვპირდებიან, შემდეგ კი პირობას არ ასრულებენ, ამიტომ მათთან თანამშრომლობის გაგრძელებას აზრი არა აქვსო. მეორეც, გუდაურში დისლოცირებულია რუსეთის საჰაერო-სადესანტო ჯარების პოლკი. ჩვენ ვთხოვეთ რუსეთის შეიარაღებული ძალების ჩრდილო-კავკასიის სამხედრო ოლქის სარდალს, რომ ამ პოლკის ქვედანაყოფები განლაგდეს აფხაზეთის ტერიტორიის საკვანძო ადგილებში და შექმნას პირობები იქ დევნილების უსაფრთხო დაბრუნებისთვისო. რუსეთის ჩრდილო-კავკასიის სამხედრო ოლქის სარდალმა გვიპასუხა, მესმის თქვენი გულისტკივილი და თანაგიგრძნობთ, მაგრამ გუდაუთაში განლაგებული 345-ე საპარაშუტო-სადესანტო პოლკი უშუალოდ მოსკოვს ექვემდებარება, მე კი მხოლოდ ოპერატიულად მემორჩილება და ამიტომ მისთვის ასეთი ბრძანების მიცემის უფლება არა მაქვსო.

თავდაცვის მინისტრის მოადგილის ამ სიტყვებიდან აშკარად მოჩანდა თავდაცვის სამინისტროსა და გენერალური შტაბის ხელმძღვანელობის არასაკმარისი ინფორმირებულობა. საქმე იმაშია, რომ 1998 წლის მონაცემებით, რუსეთის ჩრდილო-კავკასიის სამხედრო ოლქში განლაგებული იყო ერთი საველე არმია (58-ე) და ორი ცალკეული საარმიო კორპუსი (მე-7 და 68-ე). საველე არმიის შტაბი დისლოცირებული იყო ქ. ვლადიკავკაზში, ცალკეული საარმიო კორპუსებისა — კრასნოდარსა და ვოლგოგრადში. 58-ე არმიის შემადგენლობაში შედიოდა ერთი მოტომსროლელი დივიზია (მე-19, ქ. ვლადიკავკაზი) და ორი ცალკეული მოტომსროლელი ბრიგადა (ბუინავსკი და ბუდიონნოვსკი), კიდევ ერთი ცალკეული მოტომსროლელი ბრიგადა (67-ე კორპუსი) დისლოცირებული იყო ქ. ბაიკოპში და 20-ე მოტომსროლელი დივიზია (მე-8 კორპუსი) — ქ. ვოლგოგრადში. ანუ ჩრდილო-კავკასიის რესპუბლიკების ტერიტორიაზე დასავლეთიდან აღმოსავლეთისკენ განლაგებული სამი ცალკეული ბრიგადის ამოცანა უნდა ყოფილიყო ამ რესპუბლიკებში სეპარტისტული მოძრაობების გაღვივების არდაშვება. მათ სამხრეთით განლაგებული იყო 58-ე საველე არმიის შტაბი და პრაქტიკულად სრულიად დაკომპლექტებული და შესაბამისად მაღალ სამობილიზაციო მზადყოფნაში მყოფი მე-19 მოტომსროლელი დივიზია. ამ ჯარების ზურგში კი კიდევ ერთი მზადმყოფი მოტომსროლელი დივიზია (ვოლგოგრადი).

მშვიდობიანობის დროს, როგორც ვთქვით, 58-ე არმიაში შედიოდა ერთი საბრძოლო დივიზია და ასი ცალკეული საბრძოლო ბრიგადა, აგრეთვე უზრუნველყოფის სხვა ნაწილები. მაგრამ ომიანობის დროის შტატებით სრულად დაკომპლექტებულ რუსულ საველე არმიაში უნდა შედიოდეს ექვსი საბრძოლო დივიზია, აგერთვე საბრძოლო და ზურგის უზრუნველყოფის ერთეულები. ვინაიდან რუსული სარდლობა აღნიშნული არმიის შტაბს ინარჩუნებს, ამიტომ საჭიროების შემთხვევაში მის სრულად დაკომპლექტებასაც უნდა გეგმავდეს და აქ გასაკვირიც არაფერია; მაგრამ არმიის შტაბი წარმოადგენს არმიაში შემავალი დივიზიების, ცალკეული ბრიგადების, პოლკებისა და ბატალიონების (დივიზიონების) მართვის ორგანოს და ჩვეულებრივ მას განალაგებენ ხოლმე საბრძოლო მოქმედებების ზურგის რაიონში. ამიტომ ამ ორგანოს ვლადიკავკაზში, ანუ საქართველოს საზღვრის უშუალო მახლობლობაში განლაგება მხოლოდ იმას უნდა მიგვანიშნებდეს, რომ რუსული სარდლობა 58-ე არმიის დივიზიების განლაგებასა და გამოყენებას ამ შემთხვევაში უნდა გეგმავდეს ამიერკავკასიის ტერიტორიაზე.

ნატოს ბლოკი

	ბელგია	ნიდერლანდები	დანია	ნორვეგია	საბერძნეთი
მოსახლეობა	9860800	14810800	5081800	4207800	10174400
რეგულარული შემ. (მოსახლ. %)	85450 (0.87)	101400 (0.68)	29400 (0.58)	32700 (0.78)	158500 (1.56)
რეზერვები და ტერიტორიული ჯარები (მოსახლ. %)	234000 (2.37)	152400 (1.09)	142700 (2.81)	430000 (10.22)	406000 (3.99)
ომიანობის დროს შემ. (მოსახლ. %)	319450 (3.24)	253800 (1.71)	172500 (3.38)	462700 (11.00)	564500 (5.55)

ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაცია

	პოლონეთი	ჩეხოსლოვაკია	უნგრეთი	ბულგარეთი	რუმინეთი
მოსახლეობა	38038000	15740400	10555400	9080000	23404600
რეგულარული შემ. (მოსახლ. %)	305000 (0.80)	154000 (0.98)	86500 (0.82)	107000 (1.18)	200800 (0.86)
რეზერვები და ტერიტორიული ჯარები (მოსახლ. %)	507000 (1.33)	495000 (3.14)	210000 (1.98)	472500 (5.20)	626000 (2.67)
ომიანობის დროს შემ. (მოსახლ. %)	812000 (2.13)	649000 (4.12)	296500 (2.81)	579500 (6.38)	826800 (3.53)

მაშინ თავისთავად გასაგებია, რომ თუკი რუსეთის სამხედრო-პოლიტიკური ხელმძღვანელობა ვარაუდობს ამიერკავკასიაში საბრძოლო მოქმედებების წარმოებას, მაშინ რატომ უნდა თანამშრომლობდეს იგი საქართველოსთან, როდესაც მათ შორის არ არის უფრო მაღალ, სტრატეგიულ დონეზე ურთიერთგაგება და ინტერესთა ერთობა? ჩვენს მიერ გაკეთებული ასეთი ანალიზის საპასუხოდ აღნიშნულ სხდომაზე მყოფმა რუსეთის სამხედრო ატაშემ კერძო საუბარში განგვიცხადა, ჩრდილო-კავკასიის სამხედრო ოლქში ჯარების და შტაბების ასეთი განლაგება უწინარეს ყოვლისა მიმართულია თურქეთის წინააღმდეგო. მაშინ ჩვენ ჯერ კიდევ არ ვიცოდით 1990-იან წლებში ნატოს ბლოკის სხვა ქვეყნებისგან განსხვავებით თურქეთის ხელმძღვანელობის მიერ სამხედრო ხარჯების გაორგმაგებისა (1990 წლის 5,0 მლრდ. ამერიკული დოლარიდან 2000 წლის 10,8 მლრდ დოლარამდე) და ამ ხარჯების საპასუხოდ აშშ-ისა და გერმანიის მიერ თურქეთისთვის ჯავშანსატანკო ტექნიკის, საველე (განსაკუთრებით თვითმავალი) არტილერიის, ოპერატიულ-ტაქტიკური რაკეტების, გამანადგურებელი (გამანადგურებელ-ბომბდამშენი) თვითმფრინავების, დამრტყმელი ვერტმფრენების, ტაქტიკური წყალქვეშა ნავების, მართვადი ხომალდსაწინააღმდეგო სარაკეტო კომპლექსებით შეიარაღებული ფრეგატებისა და სხვა შეიარაღების გადაცემის, ან მათი წარმოების ასაწყობად ლიცენზიების მიყიდის შესახებ. აღნიშნული ღონისძიებების შედეგად თურქეთის შეიარაღებული ძალების საბრძოლო მზადყოფნა და ბრძოლისუნარიანობა სულ მცირე 4-5-ჯერ უნდა ამაღლებულიყო და მან შეიძინა უკვე აქტიური შეტევითი მოქმედებების წარმოების უნარიც.

ასეთ პირობებში ადვილად აიხსნება რუსეთის სამხედრო ატაშეს მიერ ჩვენთვის ნათქვამი სიტყვების სისწორე. ასეთი მარტივი ანალიზი მოულოდნელი აღმოჩნდა საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარისა და თავდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელობისთვის.

ყველასათვის ცნობილია, რომ როგორც რეზო ადამია, ისე დავით თევზაძე და მისი მოადგილეები ხშირად ჩადიოდნენ აშშ-სა და ნატოს ბლოკის სხვა სახელმწიფოებში, ხვდებოდნენ იქ თავიანთ კოლეგებსა და სხვა პირებს, ჰქონდათ კონსულტაციები როგორც იქ, ასევე საქართველოში აკრედიტებული ნატოს წამყვანი სახელმწიფოების სამხედრო ატაშეებთან, საელჩოების თანამშრომელ სპეციალისტებთან. ნებისმიერი ანალიტიკოსი სამხედრო ოფიცერი თუნდაც რამდენიმე წლის წინ სულ ხუთ წუთში განუმარტავდა მათ იმას, რაც იმ სხდომაზე ჩვენგან მოისმინეს, მაგრამ ნატოელმა გენერლებმა, ადმირალებმა და ოფიცრებმა არ უთხრეს რეზო ადამიას, დავით თევზაძეს ან მათ ხელქვეით მოხელეებს რუსეთის ჩრდილო-კავკასიის სამხედრო ოლქში ჯარებისა და მაღალი რანგის შტაბების განლაგებისა და დაკომპლექტებულობის პირობებიდან გამომდინარე 58-ე რუსული არმიის ნამდვილი დანიშნულების და რუსული სარდლობის სავარუდო გეგმების შესახებ. აშშ და ნატოს ბლოკის წამყვანმა სახელმწიფოებმა ამგვარად, არ გააფრთხილეს საქართველოს ხელისუფლება იმაზე, რომ რუსული სარდლობა გეგმავს საჭიროების შემთხვევაში ამიერკავკასიაში ომის წარმოებას, ვინაიდან ასეთ შემთხვევაში 1990-იან წლებში მათ მიერვე თურქეთის შეიარაღებული ძალების არაადექვატურად გაძლიერების შესახებ კითხვებზე მოუწევდათ პასუხის გაცემა და მათივე სავარაუდო გეგმებიც ასევე საცნაური გახდებოდა.

რაც შეეხება თავდაცვისა და უშიშროების საპარლამენტო კომიტეტის აღნიშნულ სხდომაზე ბატონ ქათამაძის მიერ აფხაზეთში ქ. გუდაუთაში დისლოცირებული რუსეთის 345-ე საპარაშუტო-სადე-

გაგრძელება მე-7 გვ.

საქართველოს სახალხო ფრონტის პროგრამა

საქართველოს სახალხო ფრონტის პროგრამული პრინციპები

(ამონარიდი)

საქართველოს, როგორც ეროვნული დემოკრატიული სახელმწიფოს, იდეოლოგია

I. საქართველო, როგორც დედამიწის ერთ-ერთი ნაწილი, ქართველი ერის, როგორც კაცობრიობის ერთ-ერთი ნაწილის, ქვეყანაა. საქართველო ქართველი ერის სამშობლოა ანუ ის ერთადერთი ტერიტორიაა, რომელზედაც ქართველ ერს შეუძლია, გარანტირებულად თავი ირჩინოს და თავისი თავის, როგორც ერის, რეალიზაცია მოახდინოს ფიზიკურად, კულტურულად და სახელმწიფოებრივად. ამიტომ საქართველოს სახელმწიფოს მოვალეობა და ერთ-ერთი მიზანია ობიექტური პირობების შექმნა საქართველოს მარადიულყოფისათვის, როგორც

– 1991 წლის საზღვრებში მყოფი ქვეყნისა და სახელმწიფოსი,

– თავისუფალი და დამოუკიდებელი ქვეყნისა და სახელმწიფოსი,

– დღევანდელი სახელის „საქართველო“ მატარებელი ქვეყნისა და სახელმწიფოსი და

– ქართული ქვეყნისა და სახელმწიფოსი, ანუ ისეთისა, რომელიც თავის მოქალაქესთან ურთიერთობას ახორციელებს ქართულ ენაზე.

II. საქართველოს სახელმწიფო, როგორც საქართველოს მოსახლეობის მართვისა და მისი ძალისხმევის ორგანიზების ისტორიულად ჩამოყალიბებული ინსტიტუტი, თავისი განვითარების დღევანდელ ეტაპზე არის საქართველოს მოქალაქეთა ერთობლივი ნებითა და დემოკრატიული წესით განსაზღვრული მმართველი სტრუქტურა, რომელიც ახორციელებს

– ყოველი მათგანისთვის მის ინტერესთა კანონით დადგენილი მინიმუმის დაცვასა და შეძლებისდაგვარად გაფართოებას,

– მათი ერთობლივი ინტერესების დაცვასა და შეძლებისდაგვარად გაფართოებას,

– მათ შორის უფლებათა და მოვალეობათა პრინციპულად თანასწორ განაწილებას,

– სხვა სახელმწიფოებთან ურთიერთობაში საქართველოს, როგორც ქვეყნისა და სახელმწიფოს, აქტუალურ (მიმდინარე) ინტერესთა დაცვას და შეძლებისდაგვარად გაფართოებას,

– საქართველოს, როგორც ქვეყნისა და სახელმწიფოს, სამომავლო ინტერესების დაცვასა და შეძლებისდაგვარად გაფართოების, შთამომავლობისთვის საქართველოს ტერიტორიის დაუზარალებლად შენარჩუნების ჩათვლით, როგორც თავის სარჩენი მატერიალური ბაზისა და სრული მოქალაქეობრივი თვითრეალიზაციის ასპარეზისა.

III. საქართველოს მოქალაქედ ფიზიკური პირის ყოფნა მდგომარეობს ამ პირის მიერ საქართველოს მოქალაქისთვის კანონით დადგენილი უფლებებით სარგებლობაში და კანონით დადგენილი მოვალეობების შესრულებაში. საქართველოს მოქალაქის უფლებები წარმოადგენენ საქართველოს სახელმწიფოს მოვალეობებს მოქალაქის წინაშე.

ყოველი მოქალაქე თავისუფალია იმის არჩევაში, იტვირთოს თუ არა ეს მოვალეობები და სამაგიეროდ მიიღოს თუ არა ეს უფლებები, ანუ იმის არჩევაში, იყოს თუ არა საქართველოს მოქალაქე.

საქართველოს ყველა მოქალაქეს აქვს ერთი და იგივე უფლებები და ერთი და იგივე მოვალეობები, ანუ საქართველოს ყველა მოქალაქე თანასწორია კანონის წინაშე.

IV. საქართველოს მოქალაქის მოვალეობებია:

– საქართველოს კანონის დაცვა,

– საქართველოს სახელმწიფოს მიზანთა სამსახური (კონსტიტუციით გათვალისწინებულისა),

– საქართველოს, როგორც ქვეყნისა და სახელმწიფოს, ინტერესთა დაცვა სხვა ქვეყნებთან და სახელმწიფოებთან მიმართებაში.

საქართველოს მოქალაქის ამ მოვალეობათა საფუძველია ის, რომ

– საქართველოს ყოველი მოქალაქე თანამოსარგებლეა იმ უპირატესობით, რომ მას, საქართველოს სახით, აქვს სახელმწიფო, რითაც მას თავისი ადგილი ეკუთვნის მსოფლიოს (პოლიტიკურ) სისტემაში და რითაც იგი (იდეალური) თანამონაწილეა ამ სისტემის ფუნქციობისა და მასში გადაწყვეტილებათა მიღებისა, აგრეთვე ყველა იმ უპირატესობით, რასაც ცივილიზაციის დღევანდელ ეტაპზე ადამიანს აძლევს ცხოვრების სახელმწიფოებრივი ფორმა.

– მას და მის შთამომავლებს სიცოცხლის სამარადისო მატერიალურ ბაზად აქვთ საქართველოს მიწა-წყალი მისი რესურსებითურთ.

V. საქართველოს მოქალაქის უფლებებია:

– მისი სიცოცხლის, საკუთრების და ყველა სხვა ფუნდამენტალური ინტერესის შეულახობა და დაცვა სახელმწიფოს მხრიდან, დღევანდელ ცივილიზებულ დემოკრატიულ ქვეყნებში არსებული ნორმების და საქართველოს კანონის შესაბამისად.

– საქართველოს სახელმწიფოს მართვაში მონაწილეობა ამავე ნორმების და საქართველოს კანონის შესაბამისად,

– მისი ეროვნული (ეთნიკური) ინტერესის, ანუ მისი ეროვნული (ეთნიკური) ჯგუფის (მათ შორის – მისი ერის) მარადიულყოფისა და თვითრეალიზაციის ინტერესის დაცვა საქართველოს სახელმწიფოს მიერ.

საქართველოს მოქალაქის ამ უფლებათა საფუძველია:

– მისი ადამიანური ბუნება, როგორც გონიერი და თავისუფალი არსებისა (ამ უკანასკნელიდან გამომდინარე მატერიალური და სულიერი მოთხოვნილებებითურთ),

– მის მიერ მოვალეობათა ქონა საქართველოს სახელმწიფოს წინაშე.

დარეგულირება აფხაზეთისა და ცხინვალის ზონაში

(ძირითადი ხაზები)

I. შეუვალი იურიდიული თავდაცვა

ხელი არ ეწერება არცერთ დოკუმენტს, რომელიც აფიქსირებს რაიმე დათმობას სეპარატისტების, რუსეთის ან რომელიმე საერთაშორისო ორგანიზაციის ზეწოლის წინაშე. კონფლიქტი მიიჩნევა საქართველოს შინაგან პრობლემად, რომელიც რეგულირდება მხოლოდ საქართველოს მიერ, საერთაშორისოდ მიღებული უფლებადაცვითი ნორმების შესაბამისად.

II. რუსეთის შეიარაღებული და სხვა სახის ჩარევის ბლოკირება

რუსეთის მიმართ საპროტესტო ნოტით, გაეროს სახელზე ჩივილით, ჰაგის სასამართლოში ჩივილით და ყველა მისაწვდომი საერთაშორისო ორგანიზაციებისადმი მიმართვით იმის განცხადება, რომ რუსეთი თავისი რეგულარული შეიარაღებული ძალების საშუალებით და თავისი შეიარაღებული მოქალაქეების საშუალებით აწარმოებს ომს საქართველოს წინააღმდეგ.

III. რუსეთის შეიარაღებული ძალებისაგან და დიდმასშტაბიანი აგენტურისაგან საქართველოს შეიარაღებული ძალების ზურგის გაწმენდა

რუსეთს უნდა წარედგინოს და საერთაშორისო ორგანიზაციებს უნდა ეცნობოს საქართველოს ხელისუფლების კატეგორიული მოთხოვნა რუსეთის სამხედრო ბაზების დაუყოვნებლივი გაყვანის შესახებ (რასაც არსებულ პირობებში მიზნის მიღწევის სრული გარანტია აქვს). უნდა განხორციელდეს ამ ბაზების მაქსიმალური ბლოკირება პოლიციის ძალების მიერ წინასწარ გამოცხადებული რეჟიმით, რუსეთის აგრესიის სრულ შეწყვეტამდე უნდა შეჩერდეს საქართველოს ტერიტორიაზე რუსეთის სამხედრო ტრანზიტული ტვირთების გატარება.

IV. წაგებული „საპროპაგანდო ომის“ განახლება და მოგება

მსოფლიოს უნდა განემარტოს, რომ:

ა) აფხაზეთი და ცხინვალის ზონა საქართველოს (ქართველი ერის) ეთნიკური ტერიტორიაა. არ არსებობს ანალოგია რუსულ-ჩეჩნურ და ქართულ-აფსუურ ან ქართულ-ოსურ ურთიერთობებს შორის.

ბ) მომხდარ ომში, რომელიც გრძელდება, მთლიანად დამნაშავენი არიან რუსეთი და მის მიერ ინსპირირებული სეპარატისტები.

გ) არ არსებობს საერთაშორისოდ მიღებული უფლებადაცვითი ნორმები, რომლებიც ხსენებულ საკითხებში საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების ინტერესთა წინააღმდეგ იყოს მიმართული (პირიქით).

დ) საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების გეგმა კონფლიქტების მოგვარებისა საკმარისად ითვალისწინებს ყველა დაინტერესებული ჯგუფის ინტერესებს. განსხვავებით ოსებისგან, რომელთათვისაც ეს გეგმა არ შეიძლება გასცდეს ე.წ. ფუნქციური ავტონომიის (და არა ტერიტორიულის) ფარგლებს, აფხაზეთისათვის ეს არის ტერიტორიული ავტონომია. მაგრამ აფხაზეთი ვერ განიხილება, როგორც აფსუების („აფხაზების“) ქვეყანა, არამედ იგი ჯერ არის ქართველი ერის – ამ ტერიტორიის მთელი ფეოდალური ისტორიის (და არქეოლოგიის) უპირველესი შემქმნელის – ეთნიკური ტერიტორია, და შემდეგ – აფსუების („აფხაზების“) ეთნიკური ტერიტორია, რამდენადაც დღეს ეს ერთადერთი ტერიტორიაა, სადაც აფსუებს („აფხაზებს“) თავისი ეროვნული თვითრეალიზაცია და თვითდამკვიდრება ძალუძთ.

V. შეიარაღებული ძალების შექმნა

საქართველოს შეიარაღებული ძალების შექმნა (რაც შესაძლებელია ბიუჯეტის გაჯანსაღების შემდეგ) აუცილებელი პირობაა აფხაზეთის და ცხინვალის პრობლემათა გადაჭრისა: ან მოლაპარაკებით შეიარაღებული ძალის ფონზე, ან შეიარაღებული ძალით.

VI. საქართველოს გამოსვლა „ესენგედან“

რუსეთის ჩარევისათვის ყოველგვარი საბაბის მოსახსნელად აუცილებელია საქართველოს „ესენგეში“ გაწევრიანების საპარლამენტო გადაწყვეტილების ბათილად ცნობა.

VII. რუსეთისთვის საქართველოს დაუფლების ზოგადი პერსპექტივის აღკვეთა

აფხაზეთისა და ცხინვალის პრობლემათა შესახებ რუსეთთან ყოველგვარი მოლაპარაკების და სხვა კონტაქტის პროცესში საჭიროა იმის გათვალისწინება და წანამძღვრად მიღება, რომ რუსეთი საქართველოსთან საერთო ენის გამონახვის პოლიტიკას აირჩევს მხოლოდ მას შემდეგ, რაც დაკარგავს აფხაზეთის პლაცდარმიდან ფოთის დაუფლების და ცხინვალიდან ახალქალაქისკენ სამხედრო ძალით გზის გაკაფვის იმედს. ამიტომ ამ ორი პრობლემის ვადიანი ჭრის აუცილებელი პირობაა რუსეთის საქართველოში პოზიციების გაფართოების ყოველგვარი იმედის გამორიცხვა.

VIII. საქართველოს საგარეო პოლიტიკის პრინციპები

1. საქართველოს მთავარი საგარეო ამოცანაა თავისი ტერიტორიის და დამოუკიდებლობის დაცვა მინიმალური რისკით და მინიმალური სამხედრო ძალისხმევით; მუდმივად საშუალების ქონა თავის მეზობლებში (და გლობალურად) თავისი ურთიერთობების განსაზღვრისა თავისი აქტუალური და ისტორიულ-მასშტაბიანი ინტერესების შესაბამისად.

2. ვიდრე გრძელდება რუსეთის აგრესიული პოლიტიკა საქართველოს მიმართ, საქართველოს პრიორიტეტული საგარეო ამოცანაა ამ აგრესიის ნეიტრალიზაცია რუსეთის გავლენის გამაძლიერებელი ყველა საერთაშორისო ვალდებულებების მოცილების გზით, პირველ ყოვლისა – „ესენგედან“ საქართველოს გამოსვლის და საქართველოდან რუსეთის სამხედრო ბაზების გაყვანის გზით.

3. საქართველო მუდამ მზად არის თანასწორი მეგობრული ურთიერთკავშირისათვის რუსეთთან. სამხრეთის დიდ სახელმწიფოებთან (ირანთან და თურქეთთან) ურთიერთობაში საქართველო მიჰყვება ერთმანეთის საქმეებში სრული ურთიერთჩაურევლობის და კეთილმეზობლობის პრინციპებს. თავის უშიშროებას და სხვა თავის ინტერესთა დაცვას საქართველო არ აგებს თავის საარსებო სივრცეში (თავის ტერიტორიაზე), ერთის მხრივ, ამ სახელმწიფოების და, მეორე მხრივ, რუსეთის ინტერესთა ურთიერთდაბალანსებაზე, არამედ მას აგებს მხოლოდ თავისი სახელმწიფოებრიობის განმტკიცებაზე მეზობლებთან მხოლოდ თანასწორ ურთიერთობაზე ორიენტაციით.

4. საქართველო აქტიურად იყენებს თავის კავშირებს ყველა მიმართულებით, რათა ხელსაყრელი ეკონომიკური, სტრატეგიული და კულტურული პირობები შეიქმნას, და აქტიურად იღწვის მეზობელ ქვეყანათა პოლიტიკის ურთიერთმორიგებისათვის რეგიონში სტაბილურობის დამყარების ინტერესებში. იმ შემთხვევაში, თუ, გლობალური სტრატეგიული ინტერესებიდან გამომდინარე, საქართველოსთვის აუცილებელი გახდა რომელსამე გლობალურ სათავდაცვო კავშირში მონაწილეობა, ასეთი შეიძლება იყოს მხოლოდ დასავლეთის დემოკრატიული ქვეყნების ალიანსი.

5. საქართველო როგორც თავისი ტრადიციისათვის, ისე თავისი ინტერესებისათვის ყველაზე შესაფერ პოლიტიკად რაცხს დასავლეთის დემოკრატიულ სახელმწიფოებთან მჭიდრო მრავალმხრივი ურთიერთობის პოლიტიკას.

6. საქართველო მუდამ მზად არის თანასწორი მეგობრული ურთიერთკავშირისათვის აზერბაიჯანთან და სომხეთთან. ამ ორ ქვეყანასთან ურთიერთობაში საქართველო მუდამ ცდილობს ხელი შეუწყოს მშვიდობას მათ შორის.

7. საქართველო მუდამ ესწრაფვის მჭიდრო მეგობრულ ურთიერთკავშირს კავკასიელ ხალხებთან.

8. საქართველო განსაკუთრებით დაინტერესებულია პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობების განვითარებაში თავის სამ ახალ ევროპელ პარტნიორთან – უკრაინასთან, რუმინეთთან და ბულგარეთთან – და მათი გზით ცენტრალური ევროპის ქვეყნებთან.

9. საქართველოს საგარეო ეკონომიკური სტრატეგია მდგომარეობს: ა) ამჟამად, სატრანზიტო ტვირთების სტიმულირებაში (პირველ ყოვლისა ესაა „აბრეშუმის გზა“); ბ) ამ ტვირთბრუნვაში საქართველოს მრეწველობის ჩართვის სტიმულირებაში; გ) საქართველოს სამეცნიერო-კვლევითი პოტენციალის ჩართვის სტიმულირებაში ტე-

ნმა მოგვეპოვით!
შემოხაზეთ №16
„ნოდარ ნათაძე – სახალხო ფრონტი“

ქნოლოგიური წინსვლის პროცესში სხვა ქვეყნებთან თანამშრომლობით.

IX. შეიარაღებული ძალების მშენებლობა

1. შეიარაღებული ძალების საფუძველია საყოველთაო სათავდაცვო ვალდებულებაზე აგებული გაწვევით დაკომპლექტებული შეიარაღებული ძალები. კონტრაქტით სამსახური, აგრეთვე პოლიციური (და სხვა ყველა შეირაღებული) სამსახური ხდება მხოლოდ სავალდებულო სათავდაცვო სამსახურის გავლის შემდეგ.

2. იქმნება და ფართოვდება რეზერვისტების მზაობის სისტემა (შვეიცარიული მეთოდით).

3. კანონმდებლობითი წესით განისაზღვრება როგორც ჯარისკაცის მოვალეობები სახელმწიფოს წინაშე, ისე სახელმწიფოს მოვალეობები ჯარისკაცის წინაშე: კვება, ჯანდაცვა, სოცდაცვა, ჩაცმა-დახურვა, შეიარაღება, გაწვრთნა ბრძოლაში გამოყვანამდე და ერთგული კვალიფიციური სარდლობითა და მეთაურობით უზრუნველყოფა.

4. კანონმდებლობითი წესით განისაზღვრება სათავდაცვო ვალდებულებამოხდილთათვის სოციალური შეღავათების სისტემა (მიწის მიცემაში, სახელმწიფო სამსახურში, უფასო განათლებაში, საპენსიო უზრუნველყოფაში და ა.შ.) და შეზღუდვები სახელმწიფოსმიერი სოციალური დახმარებისა სათავდაცვო მოვალეობამოუხდელთათვის.

5. სამხედრო სწავლება შემოიღება საშუალო სკოლაში და უმაღლეს სასწავლებელში. ამ საგნის წარმატებული დაძლევა ამოკლებს სავალდებულო სათავდაცვო სამსახურის ვადას.

6. არსებითი ცვლილებები შეიტანება საქართველოს შეიარაღებული ძალების დისციპლინარულ წესდებაში. პრიორიტეტულ ამოცანად მიიჩნევა სამხედრო მოსამსახურის დაცვა შეურაცხყოფისაგან. ამისთვის კანონმდებლობითი წესით მკაცრდება სასჯელი სამხედრო მოსამსახურის მიერ სამხედრო მოსამსახურის შეურაცხყოფისათვის და სასჯელის განსაზღვრაში არსებითი როლი ენიჭება დაზარალებულის აზრს.

7. სათავდაცვო ვალდებულებების მოხდად ითვლება ალტერნატიული სათავდაცვო სამსახური სამხედროვალდებულის სურვილით და სახელმწიფოს დასტურით.

X. სახელმწიფო მოწყობა

საქართველო არის და უნდა იყოს უნიტარული წყობის სახელმწიფო. ამ წყობას აქვს ადგილობრივი ასიმეტრია აფხაზეთის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების სახით, რომელიც განპირობებულია ადგილობრივი ვითარების სპეციფიკით. საქართველოს მთლიანი ფედერალიზაციის გეგმა მიიჩნევა საქართველოს დასუსტებისა და მომავალი დაშლისაკენ მიმართულ ჩანფიქრად, რომელიც შემუშავებულია საქართველოს გარეთ.

XI. ეკონომიკა (ზოგადი პრინციპი)

— საბაზრო (თავისუფალი) ეკონომიკის მსოფლიო სისტემაში საქართველოს ორგანული ჩართვა.

— საქართველოში თავისუფალი ეკონომიკის მექანიზმთა რაციონალური ამუშავება სახელმწიფოებრივი დიქტატის ფაქტობრივი მოხსნის და სახელმწიფოს კორუმპირებულ აპარატთან შეზრდილი მაფიური მონოპოლიების აღმოფხვრის გზით სახელმწიფოს, როგორც მესაკუთრის, შესაძლებლობათა მაქსიმალური გამოყენება ეკონომიკური ეფექტის მისაღწევად. მის მიერ საგადასახადო და საბაჟო პოლიტიკით ეკონომიკურ პროცესთა ეფექტიანი რეგულირება. საქართველოს საგადასახადო ბაზის ეფექტიანი ამუშავება ბიუჯეტის შესავსებად და ამ ბაზაზე სათანადო სოცდაცვის, ჯანდაცვის და განათლების სისტემათა საჭიროების დაკმაყოფილება. გადასახადთა სისტემის რაციონალური რეფორმირება, მათი ტვირთის შემსუბუქება და სამაგიეროდ საგადასახადო ბაზის გაფართოება. საბაჟო პოლიტიკის ორიენტაცია საქართველოს წარმოების (პირველ ყოვლისა მრეწველობის) გონივრულ დაცვაზე შიდა ბაზარში.

XII. მიწის პოლიტიკა

1. სასოფლო-სამეურნეო და არასასოფლო-სამეურნეო მიწის განხილვა, როგორც ქართველი ერისა და საქართველოს სხვა მოქალაქეების ძირითადი საარსებო ბაზისა აწ და მარადის.

2. აბსოლუტური გამორიცხვა საქართველოს მიწის გაყიდვისა არა საქართველოს მოქალაქეებზე პირდაპირი ან არაპირდაპირი გზით.

3. მიღწევა და მუდმივი კონტროლი — სახელმწიფოს ხელთ არსებული საკანონმდებლო, ადმინისტრაციული, საბაჟო და საგადასახადო გარემოს ფარგლებში სოფლის მეურნეობის ეფექტიანი ამოქმედებისა.

XIII. ეკონომიკური პოლიტიკის არსებული მდგომარეობა

ეკონომიკის აუცილებელი რეფორმირების ფონზე და მოსახლეობის უმრავლესობის მიერ საბაზრო ეკონომიკის შექმნის საჭიროების შეგნების ფონზე, ამ ამოცანის გადაჭრისადმი ხალხის მძლავრი მისწრაფების პირობებში, შევარდნაძის ხელისუფლების ანტისახელმწიფოებრივი წინასწარგანზრახული მოქმედების და კორუფციის შედეგად საქართველოში ფაქტობრივად მოხდა სამეურნეო საქმიანობის უმთავრესი დარგების ან ჩახშობა, ან მონოპოლიზაცია სახელმწიფო სტრუქტურებთან შეზრდილი მაფიების მიერ.

ხელისუფლებამ არ აირჩია ქვეყნის ეკონომიკური რეფორმირების ოპტიმალური კურსი, არ განახორციელა რაციონალური საპრივატიზაციო პოლიტიკა, არ შექმნა სრულფასოვანი საგადასახადო და საბაჟო სისტემები, აღორძინების და განვითარების ნაცვლად მან ჩაკლა ეროვნული წარმოება. საქართველოს წარმოებამ დაკარგა ბაზარი არა მხოლოდ უცხოეთში, არამედ ქვეყნის შიგნითაც. საქართველოს ბაზარი იაფფასიანი კონტრაბანდული გზით შემოსული დაბალი ხარისხის უცხოური პროდუქციის ხელშია. ეროვნული მუშახელი დაუსაქმებელია. უმუშევრობა მოსახლეობის 60%-ს აჭარბებს. კატასტროფული რაოდენობის თანამემამულე უცხოეთშია გადახიზნული სამუშაოს საძებრად. განუხრელად იზრდება ქვეყნის საგარეო ვალები, მათმა რაოდენობამ მიაღწია 3040,1 მლნ ლარს. მთავრობის მოქმედება ფინანსური რესურსების გახარჯვაში არ არის გამჭვირვალე. მოსახლეობა ვერ ხედავს, რას რა თანხა ხმარდება და რა მიდის უკანონოდ კერძო პირთა და მოხელეთა ხელში.

კორუფცია განუყოფლად გაბატონებულია ყველა სფეროში. ვერ ჩამოყალიბდა საშუალო კლასი — ყოველი ცივილიზებული, დემოკრატიული საზოგადოების საყრდენი. თვალში საცემია საზოგადოების მკვეთრი პოლარიზაცია: მოსახლეობის უმნიშვნელო რაოდენობა ფლობს ქვეყნის შემოსავლის უდიდეს ნაწილს, მრავალრიცხოვანი ნაწილი შიმშილობს.

სახელმწიფო ხაზინის ძარცვა შეუფერხებლად მიმდინარეობს. იკრიბება გადასახადების მხოლოდ მცირე პროცენტი. არსებული საგადასახადო გარემო ჩამხშობია ეროვნული მრეწველობისათვის. კორუფციის შედეგად კრედიტი იმდენად ძვირია, რომ იგი წარმოების გამოცოცხლებას ვერ ემსახურება. გატარებული კურსის შედეგად საქართველოში ჩამკვდარია ან თითქმის ჩამკვდარია წარმოების ისეთი ბუნებრივად პრიორიტეტული დარგებიც კი, როგორიცაა: მსუბუქი მრეწველობა, გადამამუშავებელი კვების მრეწველობა (საკონსერვო), მარცვლეულის წარმოება, თამბაქოს წარმოება, სააშენებლო მასალების წარმოება და სხვა.

არსებული ეკონომიკური პოლიტიკის პირობებში საქართველოს ეკონომიკური აღორძინების პერსპექტივა არა აქვს.

საქართველოს სახალხო ფრონტის პროგრამა

XIV. საქართველოსთვის მიზანშეწონილი ეკონომიკური პოლიტიკის საფუძვლები

საქართველოს ეკონომიკის გადარჩენა, გაცოცხლება და შემდგომი განვითარება შეუძლებელია ორი პირობის შესრულების გარეშე. ეს პირობებია: ა) სწორი ეკონომიკური პოლიტიკა და ბ) კორუფციისაგან, ძირითადად, თავისუფალი ხელისუფლება. აუცილებელია ცვლილება იყოს რადიკალური, ანუ ძირფესვიანი, და იგი დაუყოვნებლივ უნდა დაიწყოს. ცვლილება მოითხოვს მრავალ ნაბიჯს უახლოეს დროში, რომელთა შინაარსი, კონკრეტულად, შემდეგია:

ა) საქართველოს თანაბარზომიერი და მდგრადი ეკონომიკური განვითარება საჭიროებს ეკონომიკური და სამართლებრივი რეფორმების, აგრეთვე მართლმსაჯულების რეფორმების ერთდროულად განხორციელებას. საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა გულისხმობს მისთვის დამახასიათებელი საკანონმდებლო ბაზის ჩამოყალიბებას ანუ სამეურნეო საქმიანობის „თამაშის წესების“ ცალსახად განსაზღვრას. მეორე აუცილებელი პირობაა კანონების განუხრელი შესრულება, რაც გულისხმობს დამოუკიდებელი და მოუსყიდველი სასამართლო სისტემის ჩამოყალიბებასაც.

ბ) აუცილებელია შეიზღუდოს მთავრობის მხრიდან ეკონომიკაში პირდაპირი — ადმინისტრაციული — ჩარევის შემთხვევები და მართვა გადაყვანილ იქნეს არაპირდაპირი რეგულირების პრინციპებზე. ამავე დროს ყველა მნიშვნელოვანი სადავო საკითხი მთავრობასა და კერძო სექტორს შორის უნდა წყდებოდეს სასამართლოს მეშვეობით. მართვის აღნიშნულ პრინციპებზე გადაყვანა მოითხოვს მმართველობითი ფუნქციების არსებით ცვლილებებს, მთავრობის სრულ რეორგანიზაციას, სამინისტროების და სხვა უწყებების რიცხოვნების გონიერ შემცირებას და შერწყმას, მათი ფუნქციებისა და უფლებამოსილებების რეგლამენტაციას. პარალელურად უნდა მოწესრიგდეს სახელმწიფო მოხელეთა შრომის ანაზღაურების საკითხები, გამკაცრდეს კანონმდებლობა უფლებამოსილების გადაჭარბებისა და კორუფციისათვის. ამავე დროს საჭიროა, აღმასრულებელი ხელისუფლებისა და სახელმწიფო მოხელეთა საქმიანობა გახდეს გამჭვირვალე როგორც ხელისუფლების სხვა ყველა შტოსათვის, ასევე საზოგადოებისათვის.

გ) ეკონომიკური რეფორმა მოითხოვს გონივრული მაკროეკონომიკური პოლიტიკის განხორციელებასაც. ინფლაციის თავიდან არიდებისა და სავალუტო კურსის სტაბილურობის მიღწევის მიზნით საჭიროა და შესაძლებელია გონივრული საბიუჯეტო პოლიტიკის განხორციელება და წარმატების მიღწევა. ბიუჯეტის დეფიციტის შემცირება, შეამცირებს რა დაფინანსების საჭიროებას, ერთი მხრივ მოხსნის ინფლაციის საშიშროებას, ხოლო მეორე მხრივ შეამცირებს საგადასახადო სამსახურის ბიუროკრატიულ ბეგარას. ეს ბეგარა ამცირებს ეროვნული წარმოების ფასიანობას, ანელებს ეროვნული ეკონომიკის ინტენსიურ ზრდას. ეროვნული ეკონომიკა ბიუჯეტის ბალანსის ნულოვანი ნიშნულიდან ინფლაციურ ზრდას ვერ ეგუება. ეროვნული ეკონომიკა ბიუჯეტის ბალანსის დეფიციტს — საგარეო დაფინანსების აუცილებლობის არარსებობის გამო. ბიუჯეტის დეფიციტის შემცირება მიიღწევა შემოსავლების გადიდებით და ხარჯების შემცირების გზით.

დ) საბიუჯეტო შემოსავლების ზრდის მიზნით საჭიროა საგადასახადო სამსახურისა და საგადასახადო კანონმდებლობის სრულყოფა: ამ სამსახურის მუშაობის საჯაროობა, მისი სრული კომპიუტერიზაცია, სტრუქტურის გარდაქმნა ჰორიზონტალური და ვერტიკალური შერეული სისტემის მიმართულებით, თანამშრომელთა პასუხისმგებლობის გადიდება და შრომის ანაზღაურების ამაღლება ოპტიმალურ დონემდე. საგადასახადო სამსახურის რეფორმამ უნდა უზრუნველყოს ამ სამსახურის გადაჭარბებული უფლებების შეზღუდვა, ანუ საგადასახადო და საბაჟო სამსახური და კერძო მეწარმე უფლებებით უნდა გაუთანაბრდნენ ერთმანეთს. საგადასახადო სამსახურს არ უნდა შეეძლოს სასამართლო გადაწყვეტილების გარეშე რაიმე სანქციების განხორციელება კერძო მეწარმის მიმართ.

საგადასახადო კანონმდებლობის სრულყოფა მოიცავს როგორც გადასახადების განაკვეთების რაციონალიზაციას, ასევე ისეთ ცვლილებებს, როდესაც საწარმო არ იქნება პასუხისმგებელი ფიზიკურ პირთა საშემოსავლო გადასახადისა და სხვა პირდაპირი გადასახადების ბიუჯეტში ჩარიცხვაზე. ასეთი გადასახადების გადახდაზე პასუხისმგებლობა უნდა გადავიდეს მის გადამხდელზე. ასევე, ფიზიკურ პირთა საშემოსავლო გადასახადით უნდა დაიბეგროს ოჯახი და არა ცალკეული შემოსავლის მიმღები პირი, რათა მომავალშიც არ დაირღვეს პრინციპი — თანაბარი შემოსავლის მქონე ოჯახი იხდის თანაბარ გადასახადებს. გადასახადისაგან განთავისუფლებული შემოსავალი გაუტოლდეს საარსებო მინიმუმს.

ე) ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის ეფექტიანობის გაზრდისა და რაციონალიზაციის მიზნით სახელმწიფომ უარი უნდა თქვას ისეთი ხარჯების გაწევაზე, რაც არ შედის სახელმწიფოს პირდაპირ ფუნქციებში. სახელმწიფო აპარატის შემცირებამ ავტომატურად უნდა შეამციროს ამ აპარატის შენახვის ხარჯები (რაც არ უნდა გავრცელდეს სახელმწიფო მოხელეთა შრომის ანაზღაურებაზე). კორუფციისა და მექრთამეობის შემცირებით უნდა ამაღლდეს საბიუჯეტო ხარჯების მიზნობრიობა. აუცილებელია გაიზარდოს სოციალური სფეროს ხარჯები. ამ ხარჯების მიზნობრიობის გადიდებასთან ერთად ხარჯების რაციონალიზაცია უნდა მოხდეს განათლებისა და ჯანდაცვის სფეროებში. ამ კუთხით აუცილებელია, რომ არცერთი ხელმოკლე (ვადახდისუუნარო) მოქალაქე არ დარჩეს შესაბამისი განათლებისა და კვალიფიციური სამედიცინო მომსახურების გარეშე.

ვ) ფულად-საკრედიტო პოლიტიკამ (საბიუჯეტო პოლიტიკასთან ერთად) უნდა უზრუნველყოს არაინფლაციური გარემოს შენარჩუნება ისე, რომ არ შეფერხდეს ეკონომიკური ზრდის პროცესი. ამიტომ აუცილებელია ზომიერად მკაცრი ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გატარება. საბანკო სისტემა უნდა გახდეს კერძო ბიზნესის იაფი კრედიტებით უზრუნველყოფის გარანტი.

ნმა მოგვეცით!
შემოხაზეთ №16
„ნოდარ ნათაძე — სახალხო ფრონტი“

მიმდინარე ამოცანები

პირველი: ეკონომიკის, პიროვნების ან პარტიული გაერთიანების პოლიტიკური ამბიციებისაგან ჩამოცილება. დამოუკიდებლობის მოპოვების დღიდან საქართველოს ეკონომიკა განიცდის პოლიტიკური პარ-

გაგრძელება მე-6 გვ.

მე-5 გვერდიდან

ტიების მხრიდან პოლიტიკურ აგრესიას, რომელმაც დააცილა ერთმანეთისაგან ეკონომიკა და სახელმწიფო ინტერესები;

მეორე: ცხოვრების დონის დაცემის შენელება და მისი შემდგომი ამაღლება. ცხოვრების დონის დაცემის შენელება და მისი თანდათანობითი ამაღლება შესაძლებელია ბიზნეს გარემოს განვითარებისა და წარმოების ეფექტიანობის ამაღლების ხარჯზე;

მესამე: საქართველოს მოსახლეობის მიერ ყოფილი სახელმწიფო-კომერციულ ბანკებში შეტანილი ანაბრების რეალური ინდექსაცია და მათი შესაბამისი ღირებულების აქციების გაცემა მოქმედი საწარმოებიდან მოსახლეობაზე;

მეოთხე: ვაუჩერიზაციის ნომინალური ღირებულების და მისი შემდგომი პროცესების ხელახალი შეფასება. 1994 წელს დაიწყო ვაუჩერიზაციის საერთო-მასობრივი პრივატიზაცია, საქართველოს ყველა მოქალაქემ მიიღო საპრივატიზაციო ბარათი, რომლის ღირებულებაც საქართველოს მთელი ქონების ერთ მეხუთმილიონედ ნაწილს შეადგენდა. ჩვენი მოსაზრებით ეს არარეალური გათვლაა, ამასთან საქართველოს ხელისუფლებამ ვაუჩერიზაციის პროცესისას არ გაითვალისწინა ქვეყანაში არსებული რთული ეკონომიკური და სოციალური გარემო, რასაც ქონების არათანაბარი გადანაწილება მოჰყვა, გამოწვეული იმ გარემოებით, რომ მოსახლეობის უმრავლესობამ საკუთარი თავის და ოჯახის გადარჩენის მიზნით გაყიდა ვაუჩერები მის ნომინალურ ღირებულებაზე გაცილებით უფრო დაბალ ფასში;

მეხუთე: ჯანსაღი ფულად-საკრედიტო პოლიტიკის დამკვიდრება. ეს ამოცანა გულისხმობს ისეთი პოლიტიკის დამკვიდრებას, რომელიც საფრთხეს არ შეუქმნის დაგროვებისა და ინვესტიციების მოტივაციას, უზრუნველყოფს სავალუტო კურსის სტაბილურ დინამიკას;

მეექვსე: ჯანსაღი ეკოლოგიური გარემოს ჩამოყალიბება,

მეშვიდე: მეცნიერებატევად დარგების განვითარება. ცოდნა, როგორც ძირითადი რესურსი, ძირფესვიანად განსხვავდება ყველა სხვა ტრადიციული რესურსისაგან, ისეთებისაგან, როგორიცაა: მიწა და კაპიტალი. ცოდნა არ იკარგება, იგი სახელმწიფოს ეროვნული სიმდიდრეა, რომელიც გენეტიკურად გადაეცემა და ქმნის დიდ შემოსავალს;

მერვე: საწარმოო-ტექნოლოგიური სისტემის ფუნქციონირების სრულყოფა. ამ ამოცანის გადაჭრა უნდა მოხდეს ძირითადად შიდა ინვესტიციების წყაროების გაფართოების ხარჯზე და მეგობარი სახელმწიფოების დაკრედიტების დახმარებით.

XV. განათლება

— სკოლამდელი და საყოველთაო საშუალო განათლება სახელმწიფო ხარჯზე.

ნმა მოგვეპით!
შემოხაზეთ №16
„ნოდარ ნათაძე — სახალხო ფრონტი“

— საშუალო განათლების ორიენტაცია ფუნდამენტურ მეცნიერებაზე, ანუ განათლების გაგრძელებისა და გაღრმავებისაკენ ახალგაზრდების მისწრაფებაზე.

— პროფესიული (დარგობრივი) განათლების მინიმუმის მიცემა სკოლაში (არჩევით).

— პროფესიული საშუალო განათლების სისტემის შექმნის ხელშეწყობა (სახელმწიფოსი და კერძოსი).

— უმაღლესი და საშუალო კერძო სასწავლებლების ფუნქციობა.

— უშეღავათობა ატესტატებისა და დიპლომების გაცემაში, აგრეთვე კომერციულ სასწავლებელთა ლიცენზირებაში. სახელმწიფო სერტიფიკაციის პრინციპის გავრცელება მთელ სისტემაში ტესტირების ფართო გამოყენებით.

— განათლების სისტემაში მექრთამეობის რადიკალური აღმოფხვრა (კანონმდებლობის გამკაცრებით და კონტროლის ეფექტიანობის გაზრდით).

— პროგრამების ძირეული გადახალისება საშუალო სკოლაში.

XVI. საინგილო და სხვა მძიმე რეგიონები

— საქართველოს გარეთ მაცხოვრებელ ქართველებთან ურთიერთობის ორგანიზება, მათთან მუშაობის ოპტიმალური მეთოდების განსაზღვრა და გამოყენება. მთავრობებთან მუდმივი კონტაქტი მათი მდგომარეობის თაობაზე და შესაბამისი სახელმწიფოების მიმართ პოლიტიკის წარმართვაში ამ ქართველი მოსახლეობისადმი მათი დამოკიდებულების გათვალისწინება. სპეციალური სახელმწიფო უწყების შექმნა ამ მიზნისათვის.

საქართველოს საგალნო ფრონტის პროგრამა

XVII. აღმასრულებელი ხელისუფლების სტრუქტურა

მინისტრთა კაბინეტი აღმასრულებელი ხელისუფლების უმაღლესი ორგანოა, მისი ხელმძღვანელია პრემიერ-მინისტრი.

ადგილებზე (რაიონებში და ქვემოთ) ადგილობრივი კომპეტენციის ფუნქციები არჩევითი ორგანოების და პირების ხელშია.

ცენტრალური კომპეტენციის ფუნქციები ცენტრალური აღმასრულებელი ხელისუფლებისაგან დანიშნულ პირთა ხელშია.

XVII. ადგილობრივი თვითმმართველობა

— ადგილობრივი თვითმმართველობის კომპეტენციას ეკუთვნის ყველა ადგილობრივი პრობლემების დარეგულირება, გარდა მიწათსარგებლობის, გზათა მშენებლობის სტრატეგიის, კრიმინალური პოლიციის, კავშირგაბმულობის, წიაღის, ეკოლოგიური უსაფრთხოების, წყლის მსხვილი რესურსების და ტყის საკითხებისა. ამ სფეროთა მართვისათვის არსებობს სახელმწიფო მოხელე (მოურავი) ერთი ან რამდენიმე რაიონისათვის.

XIX. სექტანტებთან ბრძოლა

— გარდა საქართველოს სამოციქულო ეკლესიის აღმსარებლობისა (მართლმადიდებლობა), სხვა ქრისტიანული აღმსარებლობებისა და სხვა, მსოფლიოში ცნობილი და საქართველოში ტრადიციულად არსებული აღმსარებლობებისა (რომელთა ჩამონათვალი ფიქსირებული უნდა იყოს პარლამენტის დონეზე), საქართველოში ყველა სხვა აღმსარებლობის გავრცელება მოქმედებით და მათი ქადაგება სიტყვით დაიშვება მხოლოდ საქართველოს მთავრობის მიერ გაცემული მეცნიერულად დასაბუთებული ლიცენზიის საფუძველზე.

XX. ეროვნება

— პასპორტში და სხვა დოკუმენტებში ფიქსირდება ეროვნება (მისი განსაზღვრის წესი დგინდება კანონით, მოქალაქის სურვილი გადამწყვეტი მნიშვნელობისაა).

— მოქალაქენი თანასწორნი არიან ეროვნების განურჩევლად.

— კანონმდებლობით დეტალურად განისაზღვრება ქართული ენის, როგორც სახელმწიფო ენის, სტატუსი.

— საქართველოს კონსტიტუციაში სახელმწიფოს ერთ-ერთ მიზნად განისაზღვრება ქართველი ერის საკუთარი სახელმწიფოებრიობის და სალიტერატურო ქართული ენის, როგორც სახელმწიფო ენის, მარადიულყოფა.

XXI. კულტურის პოლიტიკა

ფუნდამენტალურ მეცნიერებათა და მათ საფუძველთა დაუფლებაზე ორიენტირებული განათლების სისტემის მიჩნევა სახელმწიფოს პრიორიტეტულ ამოცანად.

— სამეცნიერო-ტექნიკური და სამეცნიერო-პოლიტიკური ცოდნის გავრცელება მოსახლეობაში, კერძო ინიციატივის მონაწილეობის ჩათვლით.

— პორნოგრაფიის ამოღება სახელმწიფო ტელევიზიიდან და მისი დაბეგვრა (დაჯარიმება) კერძოში.

— ხელოვნებისა და კულტურის დაწესებულებათა, კულტურის ძეგლთა კონსერვაციის და, შესაძლებისდაგვარად, განვითარების პოლიტიკა.

— განათლების სამინისტროს და პარლამენტის განათლების კომისიის მუდმივი ანგარიშგება საზოგადოების წინაშე ამ დარგში არსებულ ვითარებაზე.

XXII. ჯანდაცვა

— ორიენტაცია მოსახლეობისათვის უფასო (მინიმალური და ზევით), სადაზღვევო (შენატანებზე დამოკიდებული) და ფასიანი (შეუზღუდველი) ჯანდაცვის შეთავსებაზე.

XXIII. დემოგრაფია

— შეურიგებლობა საქართველოში ქართველი ეროვნების მოსახლეობის პროცენტული კლების პროცესთან. მოქმედების მეთოდებია: საპროპაგანდო ბრძოლა მოსახლეობის დემოგრაფიული ქცევის კორექტირებისათვის; იმიგრაციის მკაცრი კონტროლი; სახელმწიფოს მიზანმიმართული პოლიტიკა რეგიონების დაახლოებითი გათანაბრებისათვის; არსებული უთანაბრობის ოფიციალური და მეცნიერულად დასაბუთებული აღიარება მტრის (რუსეთის) მიერ ორი საუკუნის მანძილზე წარმოებული მიზანმიმართული პოლიტიკის შედეგად.

XXIV. მესხეთის პრობლემა

— საქართველო არაა პასუხისმგებელი 1944 წელს ჩადენილ დანაშაულზე — მესხეთის მუსლიმანი მოსახლეობის მასობრივ გადასახლებაზე შუა აზიაში სსრკ მთავრობის მიერ.

— საქართველო მოქმედებს მხოლოდ ისე, როგორც შეესაბამება მის სახელმწიფო ინტერესებს და კანონს. არავითარი სხვა განმსაზღვრელი ფაქტორი ამ მოქმედებაში არ დაიშვება.

— საქართველოს ინტერესებს შეესაბამება მესხეთიდან გადასახლებული ქართველი წარმოშობის მოსახლეობის და მისი შთამომავლობის მაქსიმალური ნაწილის შემოყვანა საქართველოში და მისი ჩართვა საქართველოს ეროვნული სახელმწიფოს აშენების საქმეში.

შენიშვნა: საქართველოს ხელისუფლება უცნობიერებს საქართველოს მოსახლეობას და მსოფლიოს იმ ფაქტს, რომ დღეს საქართველოში შემოსახლების მსურველ მუსულმანთა შორის 2/3 სომხეთიდან გასახლებულია 1944 წელს და არა საქართველოდან.

XXV. ეკოლოგია

— ეკოლოგიური უსაფრთხოება სახელმწიფო უსაფრთხოების შემადგენელი ნაწილია.

საქართველოს ეკონომიკის არსებული სტრუქტურა (მრეწველობის ნაკლებობა) და სასურველი პერსპექტივა (აქცენტი გონებატევად და მეცნიერებატევად დარგებზე) საშუალებას იძლევა საქართველოში სავსებით ჯანსაღი ეკოლოგიური ვითარების შექმნისათვის. ამისათვის საჭიროა ერთიანი მუდმივი სამსახურის დაარსება საქართველოზე ყოველგვარი მავნე ზემოქმედების დასაფიქსირებლად და მასთან საბრძოლველად.

— საჭიროა ეკოლოგიური კონტროლის, ლიცენზირების და სერტიფიცირების ერთიანი სახელმწიფო პასუხისმგებელი სისტემის შექმნა და უმკაცრესი მატერიალური და სისხლის სამართლის სანქციების შემოღება. ეკოლოგიური მიმართულებით საზიანო დოებრივი საქმიანობის სტიმულირება.

XXVI. ინფორმაციული ბრძოლა

საგარეო საქმეთა სამინისტროს ევალება მუდმივი მოხსენება არა მარტო ხელისუფლებისათვის, არამედ საზოგადოებრიობისთვისაც საინფორმაციო ბრძოლაში არსებული მდგომარეობის შესახებ; მოსახლეობისაგან მასალების, მოსაზრებების, არგუმენტების მუდმივი მიღება, უცხოეთის საინფორმაციო საშუალებებზე გასვლის წინადადებათა ჩათვლით. სახელმწიფოს მოვალეობაა ყველა შესაძლო საშუალებათა გამოყენება საინფორმაციო ომის საწარმოებლად და მუდმივი ანგარიშგება საზოგადოების წინაშე.

XXVII. ნარკოგიზნესთან და ნარკომანიასთან ბრძოლა

— ნარკობიზნესის წინააღმდეგ კანონმდებლობის გამკაცრება.

— ნარკომანიის მკურნალობის სისტემის სრულყოფა და პროფილაქტიკა.

— მუდმივი საპარლამენტო კომისიის შექმნა საზოგადოების წინაშე პერიოდული ანგარიშგების გათვალისწინებით.

— საპროპაგანდო ბრძოლა მეცნიერული ინფორმაციის ფართო გამოყენებით.

— პარალელური მოქმედება როგორც ადგილობრივი პოლიციის ხაზით, ისე საგანგებო ზომების ხაზით. საზოგადოების წინაშე საჯარო პერიოდული ანგარიშგება შექმნილ მდგომარეობაზე.

XXVIII. თავისუფალი მასმედია

მასობრივი ინფორმაციის საშუალებები თავისუფალნი არიან პოლიტიკური კონცეფციების გამოთქმაში და დასაბუთებაში, ხელისუფლების შეუზღუდველი კრიტიკის ჩათვლით, გარდა სახელმწიფოს ძალადობით დამხობისაკენ, საქართველოს დაშლისაკენ და ქართველი ერის დაშლისკენ მოწოდებისა. ამ თავისუფლების საჭიროებას განაპირობებს ის, რომ არც ქართულ, არც მსოფლიო პოლიტიკურ აზრს არ შეუმუშავებია კრიტერიუმი, რომლითაც შეიძლებოდეს ხელისუფლების კონსტრუქციული (შემოქმედებითი) კრიტიკის და დესტრუქციული (დამანგრეველი) კრიტიკის გარჩევა. საქართველოს დაშლისაკენ და ქართველი ერის დაშლისაკენ მოწოდების არდაშვების საჭიროება მასმედიაში განპირობებულია იმით, რომ საქართველოს სახელმწიფოს წინააღმდეგ მოქმედების ეს საშუალებები დღეს უფრო დიდი მასშტაბით ფინანსდება საქართველოსადმი მტრულ სახელმწიფოთა მიერ, ვიდრე საქართველოს შეუძლია თავისი პროპაგანდის დაფინანსება, რის გამოც პოლემიკისათვის არათანაბარი პირობებია შექმნილი.

მასმედიაში ანტიპედაგოგიური პროპაგანდის წინააღმდეგ სახელმწიფო იბრძვის:

ა) მკაცრი სანქციებით ყალბი ინფორმაციის მიწოდებაზე საზოგადოებისათვის (სიყალბის ფაქტს ადგენს სასამართლო);

ბ) პედაგოგიური ამოცანების საწინააღმდეგოდ მიმართული ინფორმაციის დაბეგვრით (დადგენილი ჩამონათვალის მიხედვით) და მისი გამაწონასწორებელი პედაგოგიურად მიზანშეწონილი ინფორმაციის ორგანიზებით სახელმწიფო უწყებების (სახელმწიფო ტელევიზია, განათლების სისტემა, ფსიქოლოგიური სამსახური...) მიერ.

XXIX. პროსტიტუციასთან ბრძოლა

— პროსტიტუციის ორგანიზებისათვის მატერიალური და სისხლის სამართლის სასჯელის შემოღება კანონმდებლობითი წესით.

XXX. სპორტი

— მასობრივი სპორტის სტიმულირება, მისი განვითარების მიჩნევა განათლების სახელმწიფო პროგრამის აუცილებელ ელემენტად.

— დიდი სპორტის პროპაგანდა და მასში საქართველოს მაღალი დონის სტიმულირება, მისი ფინანსური დახმარების ჩათვლით.

პარლამენტში ყველა შემთხვევაში მრავალფეროვნება იქნება

პარტიათა დაბლოკების და პარლამენტის დეპუტატობის კანდიდატთა სიების შედგენის მარათონი და ვაკხანალია დამთავრდა. მასთან ერთად დასრულდა პირველი ქართული პოლიტიკური ტრიუმვირატის თვე. პოლიტიკურ ალიანსის „ბურჯანაძე — დემოკრატების“ ლიდერებს შორის ინტერესთა პირველივე შეჯახებამ მთელი ქვეყნის მოსახლეობისთვის აშკარა გახადა ის შინაგანი დაპირისპირება და მსოფლმხედველობრივი შეუთავსებლობა, რაც ყოველთვის არსებობდა აღნიშნულ საარჩევნო სუბიექტთა ლიდერებს შორის და რაც იმთავითვე ცნობილი იყო ქვეყნის პოლიტიკური ელიტისათვის.

რა შეიძლება ეწოდოს საქართველოს პარლამენტის ექსსპიკერის მიერ საარჩევნო კამპანიის დაწყების წინ „ოჯახურ“ უთანხმოებათა სახალხო გარჩევებს, თუ არა პოლიტიკური სიმკვახე? ეს ხომ საკუთარი პოლიტიკური ორგანიზაციის ანტირეკლამა უფრო გამოვიდა, ვიდრე პირიქით? ყველა, ყველა და ასეთი მაღალი რანგის პოლიტიკოსი მსგავს მარტივ და მიუტევებელ შეცდომებს არ უნდა უშვებდეს, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ საქართველოში მიუხედავად პოლიტიკური სპექტრის სიჭრელისა და პარტიათა სიმრავლისა, პოლიტიკურ ლიდერთა პროფესიული დონე და ხასიათი დაბალია.

აღნიშნულის გარდა, ერთიანი ნაციონალური მოძრაობის და საარჩევნო ბლოკ „ბურჯანაძე — დემოკრატების“ ერთ საარჩევნო სუბიექტად შერწყმა უმტკივნეულოდ შედგა. საერთო საარჩევნო სიის წევრებს მაინც და მაინც დიდი პრეტენზიები სიის რიგითობის გამო არ გამოუხატავთ, რაც სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ასეთი პრეტენზიები არ ჰქონდათ. მათ ასეთი პრეტენზიები ჰქონდათ, აქვთ და ვალდებულებიც იყვნენ გამოეხატათ პრეტენზიები სიის ერთპიროვნულ შემდგენელთა მიმართ, რადგან ასეთი სერიოზული დოკუმენტის მხოლოდ საკუთარი შეხედულებით ერთპიროვნულად და სუბიექტურად შედგენა უხეშად არღვევს არა მხოლოდ საკუთარ პოლიტიკურ ორგანიზაციათა წესდებებს, რის მიხედვითაც აღნიშნული დოკუმენტი პარტიის მოქმედ უმაღლეს ორგანოზე უნდა დამტკიცებულიყო, არამედ საერთაშორისოდ მიღებულ კოლეგიალობასა და დემოკრატიის ნორმებს. საპარლამენტო საარჩევნო სიები შესდგა, შესდგა, როგორც აღვნიშნეთ არაკანონიერად, ზოგი გამსვლელ ადგილზე მოხვდა, ზოგი არა. მაგრამ ეს არ არის მთავარი. მთავარია ის, რომ მათ ერთიანად არ ამოიღეს ხმა და არ დაიცვეს საკუთარ პოლიტიკურ ორგანიზაციათა წესდება, რომელიც იგნორირებულ იქნა ამ ორგანიზაციათა პრივილეგირებულ ხელმძღვანელთა მიერ. აქედან ძნელი არ არის იმის წინასწარგანჭვრეტა, თუ როგორ მოიქცევიან ისინი და რა მორალითა და კრიტერიუმებით იხელმძღვანელებენ ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში მოხვედრის შემდეგ, როდესაც „დასაკარგი“ გაცილებით მეტი ექნებათ, ვიდრე ამჯერად ჰქონდათ.

ამრიგად, ყოფილი ხელისუფლების ყველაზე გამოკვეთილი ოპოზიცია „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ თავად იქცა სახელისუფლებო საარჩევნო სუბიექტად, ნებისმიერი ხელისუფლების წინააღმდეგ შემართული „მარადიული“ ოპოზიციის პროპაგანდისტული „ზარბაზნები“ მათი მიმართულებით გადაეწყვნენ. ე.წ. კონსტრუქციული ოპოზიცია კი როგორც ყოველთვის, ამჯერადაც დაქსაქსულ-ნადანწილებული აღმოჩნდა, რაც ელექტორატს კვლავ დააბნევს, თუმცა ამ უკანასკნელისთვის ისედაც გაურკვეველი იყო ვინ-ვინ არის. სოციალისტური პარტიის ლიდერები უკმაყოფილებას გამოსთქვამენ, რომ ვერ მოახერხეს მრეწველებისა და ახალი მემარჯვენეების ბლოკთან, ეროვნულ-დემოკრატებისა და ტრადიციონალისტების ბლოკთან გაერთიანება და ერთ მძლავრ ოპოზიციურ სუბექტად ჩამოყალიბება. ეს ფაქტი კიდევ უფრო ამყარებს ჩვენს მიერ ზემოთ აღნიშნულს, რომ საქართველოში პოლიტიკური ელიტა ჯერ კიდევ უმწიფარია, მათ არც პოლიტიკურ პარტიათა წარმოშობის ისტორია და არც ამ პარტიათა ფუნქცია შეუცვნიათ. სხვაგვარად რა საერთო უნდა ჰქონდეთ უკიდურეს მემარცხენე ორიენტაციის პარტიებს უკიდურეს მემარჯვენეებთან? ისინი ხომ იმიტომ არიან შექმნილი და მოწოდებული, რომ ერთმანეთს დაუპირისპირდნენ და არა იმისთვის, რომ ერთმანეთთან გაერთიანდნენ? ნაციონალ-დემოკრატების დაპირისპირება ეროვნულ-დემოკრატებთან, ტრადიციონალისტებთან და მრეწველებთან კი ან ფორმალური უნდა იყოს, ან უმნიშვნელო, რადგან ერთ ფილოსოფიურ და იდეოლოგიურ საფუძველზე დგანან. ხოლო სოციალისტური, კომუნისტური და ლეიბორისტული იდეოლოგია სხვაა და სწორედ ამათ უნდა ეცადათ გაერთიანება. მაგრამ ქართველ სოციალისტებსა და ლეიბორისტებს კომუნისტებთან გაერთიანება საკუთარი ღირსების შეურაცხყოფად მიაჩნიათ, მაშინ, როცა პირიქით, მრეწველებთან, ეროვნულ-დემოკრატებთან და ტრადიციონალისტებთან შეერთება უნდა მიაჩნდეთ შეურცახყოფად და საკუთარი პოლიტიკური იდეოლოგიის ღალატად. ზოგი გაერთიანების აუცილებლობის არგუმენტად ეროვნულ ინტერესებს ასახელებს, მიიჩნევენ რა პოლიტიკური სპექტრის მსგავს გაერთიანებას ერის გაერთიანების საწინდრად, ვერ ხვდებიან რა, რომ ამით პოლიტიკურ პარტიათა თვით არსებობას ეკარგება აზრი, — იყოს ერთი სახელმწიფო — საქართველო და ერთი — საქართველოს პარტია, ან საერთოდ უპარტიოთა სახელმწიფო. მორჩა და გათავდა. მაგრამ პირველი ვარიანტი ამათგან უკვე გვქონდა უახლოეს წარსულში 70 წლის განმავლობაში და უარვჰყავით, მეორე კი შორეულ წარსულში მონარქიის პერიოდში გვქონდა და ისიც უარვჰყავით.

რაც შეეხება ე.წ. ოპოზიციურ პარტიათა ლიდერებისა და საზღვარგარეთელ მეგობართა წუხილს, იმის გამო, რომ ვაი თუ საქართველომ მიიღოს ერთსუბიექტიანი პარლამენტი, რაღა ეშველებათ, ვიღა გააკრიტიკებს ხელისფლების აზრს და ა.შ. საზღვარგარეთელებისა რა მოგახსენოთ, მაგრამ ჩვენ ხომ ძალიან კარგად ვიცით, რომ საქართველოს პარლამენტი არა თუ „ჭრელი“ ნაციონალ-დემოკრატიული მოძრაობის, არამედ საქართველოს დღევანდელ რეალობაში არსებულ რაგინდარა „მონოლითური“ საარჩევნო სუბიექტის მიერ, არ უნდა დაკომპლექტდეს, ის სულ მალე დაიშლება დაპირისპირებულ, ოპოზიციურ სუბიექტებად და არავითარი ჰარმონიული და ერთმანეთის ტაშისდამკვრელ ორგანოდ არ იქცევა. ამ მხრივ საქართველოს მოსახლეობას, როგორც იტყვიან, სამწუხაროდ თუ სასიხარულოდ „თავი ქუდში აქვს“. რაც შეეხება საპარლამენტო ფერთა პალიტრას, ის შეიძლება უფრო მრავალფეროვანი გახდეს ამ უკანასკნელ შემთხვევაში, ვიდრე გახდებოდა, იქ რომ რამოდენიმე საარჩევნო სუბიექტი შესულიყო. ამას ადასტურებს, როგორც ჩვენი პარლამენტის განვლილი ისტორია, ასევე „ბურჯანაძე-დემოკრატებს“ შორის გამართული ამასწინანდელი დებატები.

„მრგვალი მაგიდა — თავისუფალი საქართველოს“ ბლოკის უზანესი საბჭო გაჯერებული აღმოჩნდა რუსული სპეცსამსახურების აგენტებით და მალე ისე დანაწილდა დაპირისპირებულ მხარეებად, რომ უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო და მისი მიმდებარე შენობები „ცეცხლითა და მახვილით“ გაანადგურეს. იგივე სპეცსამსახურების აგენტებმა შეავსეს ე.წ. „პუტჩის“ შემდგომი პარლამენტი. გააჩაღეს ომი აფხაზეთში, სამეგრელოში, დაკარგეს ტერიტორიები, ადამიანები, გააჩანაგეს ეკონომიკა, კულტურა... მათ მიერ დიდი ხმაურით გატარებულმა რეფორმებმა ჯანმრთელობის დაცვისა თუ განათლების დარგში არნახულად გაანადგურა და გააცამტვერა აღნიშნული დარგები.

საქართველოში ახალი ცხოვრება იწყება. ახალი ხელისუფლებითა და ახალი იმედებით. შეიძლება ბევრი რამ შეიცვალოს და აუცილებლად უნდა შეიცვალოს, მაგრამ ქართველების მენტალიტეტი ასე მალე არ შეიცვლება, პარლამენტი ყველა შემთხვეაში მრავალფეროვანი გვექნება.

იგორ პატარიძე

მესამე გვერდიდან

სანტო პოლკის ქართველი დევნილების უსაფრთხოდ დაბრუნების ინტერესებში გამოყენების საკითხს, რაზედაც ჩრდილო-კავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების სარდალმა მას განუცხადა — ეს პოლკი მე მხოლოდ ოპერატიულად მემორჩილება და ამიტომ მისთვის ასეთი ბრძანების უფლება არა მაქვსო, უნდა ვთქვათ, რომ ყველა ქვეყნის შეიარაღებული ძალების მართვის სისტემაში არსებობს ზემოდან ქვემოთ დაქვემდებარების ორი ხაზი — ადმინისტრაციული და ოპერატიული. ადმინისტრაციული დაქვემდებარება ითვალისწინებს ჯარების პირადი შემადგენლობითა და შეიარაღებით დაკომპლექტებას, მატერიალურ-ტექნიკურ, სამედიცინო, ფინანსურ, სამხედრო, სამეცნიერო და სხვა საჭირო გამოკვლევების წარმოებას. ოპერატიული ხაზი გულისხმობს დაქვემდებარებას ჯარებისა და ძალების საბრძოლო გამოყენების დაგეგმვისა და უშუალო გამოყენების სფეროში.

ამრიგად, ვინაიდან საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელობა რუსეთის ჩრდილო-კავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების სარდალს სთხოვდა გუდაუთაში დისლოცირებული 345-ე საპარაშუტო-სადესანტო პოლკის აფხაზეთის ტერიტორიაზე გაშლასა და იქ ქართველი დევნილების უსაფრთხო დაბრუნებისთვის ხელის შეწყობას, ანუ თხოვნა შეეხებოდა ჯარების გამოყენების სფეროს, ამიტომ აღნიშნული სამხედრო ოლქის სარდალს მისდამი ამ პოლკის ოპერატიული დაქვემდებარების გამო ნამდვილად ჰქონდა სამხედრო და იურიდიული უფლება, რომ ასეთი ბრძანება გაეცა, მაგრამ არ ჰქონდა ამის სურვილი, ვინაიდან ასეთი სურვილი არ ჰქონდათ რუსეთის შეიარაღებული ძალების უმაღლეს მთავარსარდლობაში. ოპერატიული დაქვემდებარების მომიზეზებით მან უბრალოდ შეიარაღებული ძალების მართვის სტრუქტურის არცოდნით საქართველოს თავდაცვის მინისტრი და მისი მოადგილეები თავიდან მოიშორა.

თავდაცვის მინისტრის პოსტზე დანიშვნამდე დავით თევზაძე წელიწადნახევარი სწავლობდა აშშ უმაღლეს სამხედრო-სასწავლო დაწესებულებაში, მაგრამ ზემოთქმული მას იქ, როგორც ჩანს, არ ასწავლეს. აქაც დავუშვათ, რომ რაღაც გამორჩათ, ან თავად მოსწავლემ ვერ დაიმახსოვრა. მაგრამ ასეთი მოსაზრების გაჩენისა და რუს სარდალთან მოლაპარაკებების პერიოდში ხომ ექნებოდათ ამ ქართველ მოხელეებს საუბრები საქართველოში მოღვაწე აშშ, გერმანიის, დიდი ბრიტანეთის და თურქეთის სამხედრო ატაშეებთან, საელჩოების სხვა თანამშრომლებთან, ან კიდევ ნატოს ქვეყნებში და აშშ-ში ყოფნის დროს — იქაურ სპეციალისტებთან? რატომ თუნდაც ერთმა მათგანმა არ განუმარტა საქართველოს თავდაცვის მესვეურებს შეიარაღებული ძალების ადმინისტრაციული და ოპერატიული დაქვემდებარების შინაარსი და მნიშვნელობა? შემთხვევითია ეს? ვგონებთ, რომ არა.

დასასრულ, გვინდა შეეჩერდეთ კიდევ ერთ უზუსტო აზრზე, რომელიც საქართველოში ისევ ევრო-ატლანტიკური სივრციდან შემოვიდა. საქმე შეეხება ნატოს ბლოკის სტანდარტების შესაბამისად საქართველოში მცირერიცხოვანი მობილური და პროფესიული შეიარაღებული ძალების მშენებლობას, რომელსაც თურმე ქვეყნის თავდაცვის უზრუნველყოფა შეეძლება. ჩვენ ქვემოთ მოგვყავს სტრატეგიული კვლევების ლონდონის საერთაშორისო ინსტიტუტის მონაცემები ცივი ომის მიწურულს, 1991 წელს, ნატოს ბლოკის მცირე ევროპული სახელმწიფოებისა და ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციის აღმოსავლეთ ევროპული სახელმწიფოების მოსახლეობისა და შეიარაღებული ძალების რიცხოვნების ჩვენებით.

როგორც აღნიშნული ცხრილდან ჩანს, ნატოს ბლოკში შეიარაღებული ძალების რიცხოვნებასთან დაკავშირებული რაიმე სტანდარტი, უბრალოდ, არ არსებობს. იქ დანერგილი პრაქტიკის შესაბამისად კი ე.წ. „ცხელი რაიონიდან“ მოშორებული მცირე სახელმწიფოების — ბელგიისა და ნიდერლანდების სარდლობები ისეთ შეიარაღებულ ძალებს აშენებდნენ, რომ ომიანობის დროს შეძლებდნენ ქვეყნის მოსახლეობის 1,7-3,2%-ის მობილიზებას; ვარშავის ბლოკის საზღვართან შედარებით ახლოს მყოფი დანიის სამხედრო ხელმძღვანელობა გეგმავდა ომიანობის დროს შეიარაღებულ ძალებში თავისი მოსახლეობის 3,4%-ის გამოყვანას, ბულგარეთის უშუალო მეზობელი საბერძნეთი (მას თურქეთთანაც გააჩნია კონფლიქტი კვიპროსის გამო) — მოსახლეობის 5,6%, ხოლო საბჭოთა კავშირის უშუალო მეზობელი ნორვეგიის სარდლობა — მოსახლეობის 11,0%-ის მობილიზებას.

ამის საწინააღმდეგოდ, ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციაში არსებული პრაქტიკის შესაბამისად, განსაკუთრებული ადგილი ეჭირა საბჭოთა კავშირს და თუმცა ტერიტორიულად იგი დაშორებული იყო ნატოს ბლოკის წამყვანი სახელმწიფოებისაგან, მაინც აღმოსავლეთ ევროპის თავისი მოკავშირე ქვეყნების ტერიტორიაზე უკვე მშვიდობიანობის დროს 1980-იანი წლების მიწურულს განლაგებული ჰყავდა 30-ზე მეტი საბრძოლო დივიზია (როგორც ამ საქმეში უფრო ჩახედული პირებისგან ვიცით: სამი დივიზია პოლონეთში, ხუთ-ხუთი ჩეხოსლოვაკიასა და უნგრეთში და 20-მდე დივიზიაც გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში). ხოლო აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოები, თუმცა კი ტერიტორიულად უფრო ახლოს იყვნენ ნატოს ბლოკის ქვეყნებთან (განსაკუთრებით აღმოსავლეთ გერმანია, ჩეხოსლოვაკია და უნგრეთი), მაგრამ ამ ორი უკანასკნელის სარდლობებს უფლება ჰქონდათ, ისეთი შეიარაღებული ძალები აეშენებინათ, რომ საბჭოთა არმიებისა და დივიზიების დასახმარებლად ომიანობის დროს გაეწვიათ თავიანთი ქვეყნის მოსახლეობის სულ 2,8-4,1%, საბერძნეთისა და თურქეთის მეზობელი ბულგარეთის სარდლობა ბლოკის ხელმძღვანელობის ნებართვით გეგმავდა ომიანობის დროს შეიარაღებულ ძალებში თავისი მოსახლეობის 6,4%-ის გაწვევას, მეორე ეშელონში მყოფი პოლონეთისა და რუმინეთის სამხედრო ხელმძღვანელობა კი — სულ 2,1-3,5%-სა.

საქართველოში წლების განმავლობაში მომუშავე ნატოელი სამხედრო მრჩევლების უკვე კარგად ცნობილი რეკომენდაციებისა და ჩვენი ამჟამინდელი თავდაცვის მინისტრის გელა ბეჟუაშვილის განცხადებების თანახმად, დღევანდელი მსოფლიოს ე.წ. „ცხელ რაიონში“ მდებარე საქართველო ორიენტირებული უნდა იყოს მცირერიცხოვანი შეიარაღებული ძალების მშენებლობაზე, რომელსაც, ალბათ, ომიანობის დროს შეეძლება თავისი მოსახლეობის სულ 2-3%-ის მობილიზება, რაც შეადგენს 90-130 ათას ადამიანს. აშკარად ჩანს, რომ აშშ-ის ხელმძღვანელობის მხრიდან წამოსული რეკომენდაციებით (დირექტივებით) მოქმედი საქართველოს ხელისუფლების ასეთი გეგმები კარგად შეესაბამება არა „ნატოს სტანდარტებს“, არამედ სწორედ ვარშავის ხელშეკრულების ყოფილი ორგანიზაციის აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოებში საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობის მიერ დანერგილ პრაქტიკას.

სწორედ ამაში მდგომარეობს ევროატლანტიკური სივრციდან საქართველოში მოსული და დანერგილი არასწორი პოზიცია, რაც აშკარად მიგვანიშნებს იმაზე, თუ რა არ უნდა ვაკეთოთ, მაგრამ ამ მინიშნებას სჭირდება დანახვა, არა აშშ-ის, არამედ საკუთარი ქვეყნის სამსახურის სურვილი და მისი ინტერესის კარგად გარჩევა. დღესდღეობით, სამწუხაროდ, ასეთ სურვილს ვერც ზემოთ ვხედავთ და ვერც ჩვენი საზოგადოების უმეტეს ნაწილში. ღმერთმა შეგვაძლებინოს, დავდგეთ სწორ გზაზე და ვიაროთ საკუთარი გადარჩენის გზით.

ირაკლი ხართიშვილი

რევოლუცია ქართულად?

ობიექტური საბოლოო შეფასება იმისა, რაც ჩვენს ქვეყანაში ნოემბრის თვეში მოხდა, ალბათ, ჯერ ნაადრევია და მოითხოვს გარკვეული დროის გასვლის შემდეგ ცივი გონებით განსჯას. მაგრამ, ვფიქრობ, ცხელ გულზე შემუშავებული შეხედულებაც ანგარიშში ჩასაგდებია.

კარგა ხანია, ისეთი შთაბეჭდილება შემექმნა, რომ მას შემდეგ, რაც ჩვენ ფორმალური დამოუკიდებლობა მოვიპოვეთ ანუ მოკიდებული 1991 წლიდან სულ უკანასკნელ ხანამდე, ქვეყნის სათავეში მყოფი ხელისუფლება — როგორც სხვადასხვა მოწვევის პარლამენტი, ისე აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლები — სახელმწიფოს კი არ მართავდნენ, არამედ სახელმწიფობანას თამაშობდნენ. თავიდან, ადვილი შესაძლებელია, და, ალბათ ბუნებრივიცაა, რომ ეს სრული გამოუცდელობის შედეგი ყოფილიყო, მაგრამ შემდგომში ამას, ვფიქრობ, სხვა უფრო სიღრმისეული მიზეზებიც ჰქონდა, გაპირობებული თვით ამ ადამიანთა მენტალობით და მეზობელი რუსეთის მოუხეშავი სახელმწიფოებრივი მანქანის აშკარა ზეწოლითაც. სახელმწიფობანას თამაში მჯღავნდებოდა, როგორც აურაცხელი კანონის „ცხარე დისკუსიების“ შედეგად მიღებით, რომელთაც ცხოვრებაში განხორციელება არ ეწერათ, ასევე უამრავი კომისიების შექმნით, რომელთაც სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ცხოვრების საჭირბოროტო სასიცოცხლო დიდი პრობლემების გადაწყვეტა ევალებოდათ და რომელთა უმოქმედობა ან ჩატარებული სამუშაოს სრული უშედეგობა ჩვენი სახელმწიფოს და საზოგადოების არსებობის წესად იქცა. ყველაფერ ამას მოჰყვა სავალალო შედეგები: ტერიტორიების დაკარგვა დიდი მსხვერპლის ფასად, ქვეყანაში სრული განუკითხაობა, დაუსჯელობის სინდრომი, უზნეო ადამიანთა აღზევება და კორუფციის არნახული აყვავება — საშინელი სენი, რომელმაც შიგნიდან გამოხრა ქართველი ერი და მას სრული გადაგვარებით დაემუქრა.

ეროვნული ინტელიგენცია (რომელიც ჯერ კიდევ ცარიზმის დროს, ხოლო შემდეგ კომუნისტურ რუსეთში, ფაქტობრივად, სალანძღავ ან საქილიკო ფენომენად იქცა, რის გამოვლინებასაც ჩვენს საზოგადოებაში, სამწუხაროდ, ახალგაზრდობის ნაწილში, უკანასკნელ წლებშიც ჰქონდა ადგილი), თუმცა კი, ცხადია, აღარ იდევნებოდა და ფორმალურად ხელისუფლებისაგან დაფასებულიც კი იყო, ფაქტობრივად, ერთი-ორი პრივილეგირებული წარმომადგენლის გარდა, საზოგადოებრივი ცხოვრებისაგან გარიყული, მატერიალური თვალსაზრისით სულს ღაფავდა და ღაფავს კიდეც. საზოგადოების ამ ნაწილში თითქოს სრული აპათია იყო დასადგურებული.

ამის მიზეზი საქართველოსთვის ბოლო ორასი და განსაკუთრებით კომუნისტური სამოცდაათწლიანი ეპოქა იყო, რომლის პირველ ათწლეულში, ფაქტობრივად, განხორციელდა საზოგადოების კულტურული და გონიერი ნაწილის გენოციდი. შედეგად, მიუხედავად იმისა, რომ ბოლოს და ბოლოს, კომუნისტებიც მიხვდნენ, რომ ინტელიგენციის გარეშე სახელმწიფო ვერ იარსებებდა, მაინც საზოგადოების დიდი ნაწილი და, პირველ რიგში, სახელმწიფო სტრუქტურები განაგრძობენ არსებობას კომუნისტუტი მორალის ზნეობრივი კატეგორიების პრინციპების მიხედვით, ანუ სრული უზნეობის საფუძველზე.

კომუნისტური რეჟიმის დამხობის შემდეგ, გაცილებით ძნელი აღმოჩნდა კომუნისტური ფსიქოლოგიის და ამით გაპირობებული ამორალობის აღმოფხვრა, მითუმეტეს, რომ ქვეყნის სათავეებში თანდათან კვლავ ძველი, „გამოცდილი კადრები“ მოვიდნენ. აი, ამან და ყალბადგაგებული დემოკრატიის საფუძველზე აღმოცენებულმა დაუსჯელობის ზემოხსენებულმა სინდრომმა შექმნა არნახულად ნოყიერი ნიადაგი კრიმინალური ფსიქოლოგიისა და საყოველთაო კორუფციისათვის, რაშიც ბოლო 10-12 წელიწადია, რაც ჩვენი საზოგადოება ერთიანად ჩაფლულია და რამაც ჩვენი სახელმწიფოებრიობა სათამაშო ობიექტად აქცია. დასავლეთის გულწრფელი მორალური და უდიდესი მატერიალური დახმარება ისევე, როგორც ადგილობრივი მატერიალური რესურსები, კრიმინალური „ელიტის“ სიხარბის გამო ქვეყნისა და ხალხის მიღმა დარჩა, ხოლო ჩვენი, მართალია, ეფემერული, მაგრამ მაინც დამოუკიდებლობით შეურაცხყოფილ რუსეთს ჩვენს შინაგან საქმეებში ჩარევის უაღრესად ხელსაყრელი გარემო შეექმნა. ამის შედეგები, კი ყველასთვის ცნობილია.

ქართველი ერი, რომელიც მთელი შუა საუკუნეების განმავლობაში, მიუხედავად გვიანი საუკუნეების პოლიტიკური ქარტეხილების შედეგად მისი კულტურულ-პოლიტიკური ცხოვრების დაქვეითებისა, მთელს კავკასიაში და მახლობელ აღმოსავლეთში პრესტიჟულ ერად ითვლებოდა და დასავლეთი ევროპისთვის XIII-XV საუკუნეებშიც კი მაჰმადიანური გარემოცვისაგან ქრისტიანობის შეუდრეკელი დაცვის გამო, მხნეობის თვალსაზრისით, მისაბაძ ერად იყო მიჩნეული, XX საუკუნის ბოლო ათწლეულში განვითარებული ზემოხსენებული პროცესების შედეგად, ზოგიერთთგან დასაცინი და აბუჩად ასაგდები შეიქნა.

ინტელიგენციამ, კერძოდ, ისტორიკოსებმა, არაერთხელ მიმართეს ბოლო წლების განმავლობაში მთავრობას, ქმედითი ზომები მიეღო მდგომარეობის გამოსასწორებლად და, კერძოდ, — საყოველთაო კორუფციის წინააღმდეგ, რადგან სწორედ ეს ეროვნული უბედურება მიაჩნდათ (და მიაჩნიათ) ყველა დანარჩენის მიზეზად. აღნიშნავდნენ, რომ „ასე ცხოვრება აღარ შეიძლება“, რომ ეს ბოლო ათწლეული ყველაზე „ავადსახსენებელ და სამარცხვინო პერიოდად დარჩება ჩვენი ქვეყნის ისტორიაში“. სამწუხაროდ, ამგვარ მოწოდებებს (და, რა თქმა უნდა, მასმედიის არხებით წლების განმავლობაში გაცხადებულ სათანადო აქტივობას) ხელისუფლება, როგორც წესი, დუმილით და სრული უმოქმედობით პასუხობდა. საღადმოაზროვნე ინტელიგენციის უგულვებელყოფა ნიშანდობლივია, რადგან მთავრობა რომელიც ანტიინტელიგენტურია, აუცილებად ანტიეროვნულიცაა. ეს ნათლად დაამტკიცეს კომუნისტებმა. ასეთი ვითარება კი არ შეიძლება არ შეუბრუნდეს იმავე მთავრობას. ხალხმა ბევრი რამ შეიძლება მოითმინოს და იგი ითმენდა კიდეც, რადგან კომუნისტური ტოტალიტარული რეჟიმის ტერორისაგან განთავისუფლებული, დემოკრატიული თავისუფლებისაკენ მიისწრაფოდა, რის იმედსაც მთავრობის მიერ გაცხადებული ლოზუნგებიც აძლევდა. მაგრამ, რაც დრო გადიოდა, მიზნის მიღწევის შესაძლებლობა სულ უფრო ილუზორული ხდებოდა. მიზანს აშკარად თანდათან ვშორდებოდით.

მაგრამ საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებას თავისი ობიექტური კანონზომიერებანი ახასიათებს, რომელთაც შეუქცევადი ბუნება აქვთ. მე ვგულისხმობ ცივილიზებული საზოგადოების ცხოვრებას, რომელსაც ქართველი ერი უცილობლად მიეკუთვნება. კერძოდ, ჩემთვის ცხადი იყო, რომ სულ ცოტა 2500 წლოვან სახელმწიფოებრივ, ანუ ცივილიზებულ ცხოვრებას, მიუხედავად საქართველოს ისტორიის თანამდევი, მისი გეოპოლიტიკური მდგომარეობით გაპირობებული, შეიძლება ითქვას, პერმანენტული კატაკლიზმებისა, არ შეიძლებოდა ქართველი ხალხისთვის უკვალოდ ჩაეარა.

ინტელიგენციამ, როგორც აღვნიშნე, არაერთხელ გააფრთხილა მთავრობა, რომ დაძაბულობა უკიდურეს წერტილამდეა მისული, რომ საქართველო „ჩამოყალიბდა, როგორც შუა საუკუნეების ტიპის აღმოსავლური ბარბაროსული სახელმწიფო“ (ძალისმიერი სამართლით, ადამიანთა სრული დაუცველობით, ბანდიტიზმით...). მთავრობა კვლავ დუმილს ან დემაგოგიურ განცხადებებს არჩევდა, ხოლო სულ ბოლო დროს აშკარად მისგანვე დანერგილი ცხოვრების ზემოხსენებული წესის შემაგრებას შეეცადა. ეს კი ნიშნავდა, რომ მთავრობა აბსოლუტურად გაუუცხოვდა საკუთარ ხალხს და ამდენადვე განწირული იყო.

უკანასკნელი მწარე წვეთი, რომელმაც ხალხის მოთმინების ფიალა აავსო, იყო 2 ნოემბრის გამჭირვალედ გაყალბებული არჩევნები. ხალხის დიდი უკმაყოფილება მწვავე პროტესტად გადმოიღვარა და მოხდა ის, რაც, უნდა მომხდარიყო: ქართველი ხალხის ცხოვრებაში ისტორიული განვითარების ბორბალი, რომლის უკუღმა შემობრუნებას აპირებდნენ, საბოლოოდ წაღმა დატრიალდა. ეს დაინახა მთელმა მსოფლიომ, გარდა რუსეთისა და ზოგიერთი ჩვენი რენეგატისა!

ქართველებმა ერთ დღე-ღამეში ეხლა უკვე მთელი მსოფლიოს თვალში, დაიბრუნეს თავისი, როგორც ცივილიზებული ერის პრესტიჟი! ეს იყო ბოლო წლებში მიმდინარე ისტორიული პროცესების კანონზომიერი დაგვირგვინება, დაფუძნებული ათასწლოვანი ცივილიზებული ცხოვრებით განპირობებულ ჩვენს ეროვნულ-სახელმწიფოებრივ ფსიქოლოგიაზე, რომელიც, ჩანს, ყოველთვის ღვიოდა ქართველი ერის მოწინავე ნაწილში.

ჯერ კიდევ 1990 წელს, სანამ დაინგრეოდა საბჭოთა კავშირი, ერთ ჩემს პუბლიკაციაში ვწერდი: საკითხავია, რითი ინარჩუნებდა საბჭოთა კავშირი ამ თავის მიერვე შექმნილ არაადამიანურ ტოტალიტარულ რეჟიმს? ჩემი აზრით, იგი სამ სვეტს ეყრდნობოდა: პირველი — ტერორი, მეორე — შიმშილი, მესამე — სიცრუე. ეს სამი ფრიად ეფექტიანი უდიდესი ანტიჰუმანური საშუალება ადამიანის საზოგადოების მართვისა იმთავითვე ფუნდამენტურ პოლიტიკურ დოქტრინად იქცა, რადგან შესანიშნავად იცოდნენ, რომ „შიში შეიქმს სიყვარულს“, შიმშილი — მათხოვრულ დამოკიდებულებას, ხოლო სიცრუე — გათიშულობას. ყველაფერი ეს პოლიტიკური მმართველობის უძველესი ხანიდანვე ცნობილი მეთოდოლოგიაა, რომლითაც სარგებლობდნენ... დესპოტურ სახელმწიფოთა მესვეურები. სამივე ეს საყრდენი, რასაც, საბოლოო ჯამში, მალე მთელი საბჭოთა პოლიტიკური სისტემის ნგრევა მოჰყვა. ამ ნანგრევებში შობილმა ქართულმა „დამოუკიდებელმა“ სახელმწიფომ საყრდენად, არსებითად, ორი სვეტი შეინარჩუნა — სიცრუე და შიმშილი. ორ სვეტზე დაყრდნობილმა ამ „დემოკრატიამ“, რომელსაც შიში თან აღარ სდევდა და, ამდენად, საბჭოთა კავშირან შედარებით, ცხადია, კიდევ უფრო [illegible] უნდა ყოფილიყო, თუ, ერთი მხრივ, საყოველთაო კორუფცია დანერგა და კრიმინალური საზოგადოება ლამის დააკანონა, მეორე მხრივ, იმავე შიშის უქონლობის გამო, საზოგადოების ჯანსაღი და გონიერი ნაწილისგან მწვავე და უკომპრომისო კრიტიკა გამოიწვია, რამაც ხალხის უდიდესი ნაწილი რადიკალური ცვლილებებისთვის ფსიქოლოგიურად შეამზადა. და მოხდა სრულიად კანონზომიერი სახალხო გადატრიალება თუ რევოლუცია, რომელსაც ხალხის მოწინავე ნაწილი — ინტელიგენცია ხელმძღვანელობდა, რომლის როლი თანამედროვე სახელმწიფოში კომუნისტური მენტალობის მქონე მთავრობამ ვერ შეაფასა, უგულებელეყო და ამიტომ დამარცხდა.

ასეთია ობიექტური ისტორიული განვითარების ლოგიკა.

ისე, როგორც საფრანგეთის დიდი ბურჟუაზიული რევოლუციის წარმატება ვერ შეაჩერა ვერავითარმა კონტრრევოლუციამ, ინტერვენციამ თუ რესტავრაციამ, ასევე დაუმარცხებელია ქართული სახალხო რევოლუცია სწორედ იმიტომ, რომ იგი საზოგადოებრივი განვითარების ისტორიული კანონზომიერებაა. თუ ეს არ გაეგებოდათ XIX ს-ის დასაწყისის პოლიტიკოსებს, კარგად უნდა ესმოდეთ XXI საუკუნის მათ ჩამომავლებს. ამ დიდი სახალხო აქციის მონათვლა „პუტჩად“ ან „ბრბოს“ გაუაზრებელ აღტკინებად, ან თუნდაც ასი თუ ორასი ათასი ადამიანის ხუშტურის გამოვლინებად, რომელიც ვითომ არ გამოხატავს საერთო სახალხო განწყობას, რბილად რომ ვთქვათ, არაკეთილსინდისიერებაა. ასეთი შეფასებები კი მავანთაგან ისმოდა ტელეარხებზე!

მთელი მსოფლიო გაკვირვებულია, როგორ განხორციელდა ერის ცხოვრებაში ეს გარდამტეხი მოვლენა სისხლისა და ყოველგვარი უხეში ძალადობის გარეშე? ვფიქრობ, ამის ძირითადი მიზეზია სწორედ ის უმნიშვნელოვანესი ფაქტი, რომ ამ ე. წ. „ვარდების რევოლუციის“ წარმმართველ ძალას და თვით მრავალდღიანი ხალხმრავალი მანიფესტაციების მონაწილეთა დიდ ნაწილს ინტელიგენციის წარმომადგენლები შეადგენდნენ, იმ ხალხის ინტელიგენციისა, რომლისთვისაც, როგორც უკვე აღვნიშნე, ათასწლეულთა განმავლობაში ცივილიზებული არსებობით გაპირობებული ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მენტალობა და ამდენადვე საბედისწერო მომენტებში დიდი პასუხისმგებლობის გრძნობა, არაცნობიერად მაინც, ორგანულ თვისებას წარმოადგენს.

ამგვარად, ჩემი ღრმა რწმენით, ე. წ. „ვარდების რევოლუცია“, გარდა ყველაფრისა, თვისებრივი ნახტომიცაა, რომელიც გამორიცხავს ახალი მთავრობის ანტიინტელიგენტურ (ანტიეროვნულ) განწყობას. რა თქმა უნდა, შორს ვარ ეიფორიისგან, რადგან მთავარი სირთულეები ახლა დაიწყება: ჭეშმარიტი დემოკრატიის მშენებლობა, კანონის უზენაესობა, საჯაროობა, ძველი ფსიქოლოგიის (და ე. ი. ძველი კადრების) დაძლევა და სხვა, რომ აღარ ვთქვათ საგარეო ფაქტორზე და მისგან შექმნილ საშიშროებებზე. ცხადია, იქნება შეცდომებიც, ალბათ, ჩავარდნებიც... საჭირო იქნება საზოგადოების საფხიზლეც, მთავრობისადმი დახმარებაც, კონტროლიც და სხვა... მაგრამ მთავარია ის, რომ პროცესი დაიწყო და იგი შეუქცევადია.

დავით მუსხელიშვილი

სარედაქციო კოლეგია

რედაქციის მისამართი:
თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. №5
გაზეთის ინდექსი 66447

შპს გაზეთი „საქართველო“
რეგისტრირებულია თბილისის კრწანისის რაიონის სასამართლოს მიერ №06/4-444
ტელ: 93-15-89

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით.
გამოქვეყნებულ მასალებზე პასუხს ავტორი აგებს.